# საერთო გაზეთი

№8 (741)
ოთხშაბათი
6 მარტი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.


## ვიცით, რითაც მთავრდება




## ნეტავ, რამდენი გადაუხადეს ქვეყნის პრეზიდენტს საკუთარი ეკლესიის შეურაცხყოფისთვის?



## ღმერთთან დაპირისპირება

# მიყვარს ის საქართველო, რომელიც უმსგავსობაზე არ ჩუმდება!

ახლა, როდესაც უკვე ღიად ითქვა საეჭვო საქმიანობის არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, ის, რაც ისედაც ხელისგულზე იდო, უფრო თვალნათლივ გამოჩნდა. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ტრენერი, იურისტი ალექსანდრე ბარამიძე ამბობდა: „საია-ს“ ყურს უგდებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებსგარეთაც. ყურს უგდებენ თუნდაც დონორები, ერთ-ერთი მათგანია აშშ-ის განვითარების სააგენტო (**USAID**), რომელიც აფინანსებს „საია-ს“. ეს სააგენტო იმიტომ არ აფინანსებს „საია-ს“ რომ მერე უგულვებელჰყოს ასოციაციის დასკვნები. იგივე ეხება სხვა უფლებადაცვით ორგანიზაციებსაც. ისინი იმიტომ ფინანსდებიან საერთაშორისო დონორების მიერ, რომ შეასრულონ ის მისია რომელსაც მათ დონორები უყენებენ და თუ დონორი არ წყვეტს დაფინანსებას და „საია“ ფინანსდება მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო დონორების მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ დონორები კმაყოფილნი არიან.“

ვიღაცის ბლოგზე წავაწყდი, დროა **USAID**-ი ღია გახდესო. გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს: „სისტემა, რომელსაც **USAID** იყენებს, ისეა მოწყობილი, რომ სპობს ყოველივე იმის განხილვის საშუალებას, რომელიც მათ მიერ წარმოებული დაფინანსების მიზანშეწონილობას ეხება — საუბარია ფინანსებზე, რომელიც საქართველოსთანა ქვეყნისთვის ძალიან მასშტაბურია, ამიტომ, ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა ადამიანს გაუკეთებია ფული **USAID**-ისგან ან მიიღებს მას მომავალში. ახლა ერთ რამეს გაგიმხელთ: როცა 1993-2004 წლებში **NDI**-ზე ვმუშაობდი, ჩემს ხელფასს **USAID**-ის ფულით მიხდიდნენ; ამჟამად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თავმჯდომარე ვარ და ჩემი ორგანიზაცია გრანტს ისეთი ორგანიზაციებიდან მოიპოვებს, რომლებიც ფულს თავის მხრივ **USAID**-ისგან იღებენ.

მოკლედ, **USAID**-ი უნდა გაიხსნას! რადგან, აშკარად არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. რომელ ქვეყანაშიც უნდა ნახო, ყველგან ერთი და იგივე სურათია — **USAID**-ი ყველგან ყველაფრის მცოდნეა, იცის, რა ხდება და რა მოხდება, მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც თვითონ გადაწყვეტს. სინამდვილეში, ის არ აკეთებს „საქმეს“ და არც „პროგრამები“ აქვს, ის მხოლოდ ფულს გასცემს — ის ძალიან დიდი და ბიუროკრატიულია, რომ რაიმე კონკრეტულის გაკეთება თვითონ შეეძლოს, ის დონორია და არა საქმის გამკეთებელი...

საჯარო გახადეთ საპროექტო დოკუმენტაცია, მიღებული საგრანტო განცხადებები, ბიუჯეტები, ანგარიშები შემდეგ კი შექმენით ფორუმი სადაც ხალხს შესაბამის საკითხზე საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცემა. ეს გაცილებით უფრო იაფი და მაღალი ხარისხის იქნება, ვიდრე წელიწადში მილიონი დოლარის ხარჯვა. და თუ ამის გაკეთების შიში არსებობს, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: — რატომ?!“

მართლაცდა, რატომ?

მოკლედ რომ ვთქვათ, საიდანაც გაიხედავ **USAID**-ია, უფრო სწორად, მის მიერ დაფინანსებული მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი შემდგომი განშტოებები პატარ-პატარა „ენჯეო|“-ების სახით, რომლებიც, ყველა ერთად, აგერ, ბატონმა შალვამაც „მდიდარ არასამთავრობო ორგანიზაციებად“ მოიხსენია, რაც თავისთავად „წამყვანსაც“ ნიშნავს — არ მისცე სადავე და არ იქნება წამყვანი!..

ძალზე რეზონანსული ფაქტი იყო, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ამერიკულ სააგენტოს (**USAID**) რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქმიანობა აეკრძალა, თუმცა ამაზე კატეგორიულ დუმილს ამჯობინებდა ქართული მასმედია.

რუსეთი იყო და არის საქართველოს ოკუპანტი, ფაქტი სახეზეა, მაგრამ ვინმეს ოკუპანტობა არ ნიშნავს თვალის დახუჭვას იმავე **USAID**-თან დაკავშირებით თუნდაც იმიტომ, რომ სხვისი დაღეჭილის რაობა მაინც გავიაზროთ.

**USAID** — ეს არის ამერიკული ორგანიზაცია, რომელიც რუსეთში გამოჩნდა სსრკ-ის დაშლისთანავე და წერდა როგორც ჩვენს კონსტიტუციას, ასევე, მთელ რიგ სხვა კანონებს.

**USAID** — რუსეთში გრანტისმიმღებთა (საქართველოში „გრანტიჭამიებს“ ან „ძლვენიჭამიებს“ რომ უწოდებენ) „ბუხჰალტერი“, რომელმაც კუბომეტრობით დოლარი მიიღო აშშ-იდან და გაანაწილა ადგილობრივ გრანტისმიმღებთა შორის.“

როგორც ითქვა, რუსეთში ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ის ყოფილა, რომ საკმაოდ ხშირად აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა აცდენილი იყო ოფიციალურად გაცხადებულ მიზნებს — საუბარია გრანტების განკარგვით პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის მცდელობებზე, მათ შორის, სხვადასხვა დონის არჩევნების შედეგებზე და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებზე. სერიოზული კითხვები გაჩნდა სააგენტოს აქტიურ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგიონებთან მიმართებაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, რის შესახებაც არა ერთხელ გააფრთხილეს რუსებმა ამერიკელი კოლეგები.

ყურადსაღებია სააგენტოს მაშინდელი წარმომადგენელი სუზან კორკის („ფრიდომ ჰაუსი“) კომენტარი: „ეს საშინელი გადაწყვეტილებაა... განხიბვლას იწვევს ის, რომ აშშ-ის მთავრობამ წინააღმდეგობა არ გაუწია რუსეთის ამ გადაწყვეტილებას და არ ეცადა შებრძოლებას. ეს ძალზე საშიში პრეცედენტია არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ყველა რეგიონისა და მთელი მსოფლიოსთვის. ამ მაგალითს შეიძლება მიბაძონ სხვა სახელმწიფოებმაც.“

რუსეთის ამგვარი გადაწყვეტილება ვაშინგტონისთვის ლოყაში სილის გარტყმად შეაფასეს თვით ამერიკულ პრესაში.

თქვა სიუზან კორკიმ, ეს საშინელი პრეცედენტია, რუსეთის მაგალითს შეიძლებმა სხვებმაც მიბაძონო...

რუსეთის მიმბაძველი, ჯერჯერობით, არ ჩანს, აშშ-ის მიბაძვა ვცადეთ და „რუსული კანონიაო“, მაგრამ ტყუილად ხომ არ აყვირდებოდნენ, დასამალი რომ არ ჰქონდეთ ბევრი და მნიშვნელოვანი რამ?

საინტერესოა და გთავაზობთ მაკედონელი ანარქისტების მომზადებული კრიტიკული ტექსტიდან ამონარიდებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასა და როლზე თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ, იმის შესახებ, ვინ აფინანსებს არასამთავრობო სექტორს (ვის ინტერესებს ემსახურება).

შეკითხვა, ვინ აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მასზე პასუხს მივყავართ სხვა კითხვაზე პასუხთანაც, როგორიცაა — ვის ინტრესებს ემსახურებიან ისინი? რა არის მათი რეალური მიზანი და როლი საზოგადოებაში? — კითხვა, „ვინ აფინანსებს ნჯო-ებს“, ფარდას ხდის მათი დამოუკიდებლობისა და არასამთავრობო ხასიათის ილუზიას!

მსოფლიო მასშტაბით მათი ორი ყველაზე დიდი დამფინანსებელი მთავრობები და კორპორაციებია; შედარებით მცირე გრანტები მოდის რელიგიური ორგანიზაციებიდან მათი ეკლესიების დომინაციის გასამყარებლად.

გლობალური მასშტაბით კი ყველა კორპორაციას აქვს საკუთარი ფონდი „ნჯო სექტორის“ დასაფინანსებლად; თუ კორპორაციებს ასეთი ფონდები არ აქვთ, მაშინ მათ მფლობელებს აქვთ, მაგალითად, ჯორჯ სოროსს, ძმებ როკფელერებს, ბილ გეითსს, თვით ინგლისის დედოფალსაც კი ჰქონდა. ხალხი ვერ აღიქვამს და როგორც ჩანს, ამიტომ არაფრად მიაჩნია, მაგალითად, ის, რომ „ეფლი“ აზიაში მილლიონ-ნახევარ მუშახელს უწევს ექსპლუატაციას და აიძულებს 14-საათიან მუშაობას დღეში, როდესაც მისი წლიური ანაზღაურება ერთი აიფონის ფასზე ნაკლებია, მაგრამ მზრუნველი ორგანიზაციის იმიჯი აქვს, რადგან რამდენიმე ათას ვაქცინას აგზავნის აფრიკაში... ე. წ. ქველმოქმედებითა და ფილანტროპიით „ნჯო-ები“ რეალურად ძირს უთხრიან რადიკალურ ბრძოლას სიღარიბის, შიმშილის, ავადმყოფობების, გაუნათლებლობისა და სხვა უბედურების წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლნიც იძულებულნი არიან, დასავლური ორგანიზაციებიდან მოწყალებასა და პერიოდულ ქველმოქმედებას.

ისინი ასევე ინვესტირებენ „პოლიტიკურ“ ნჯო-ებს, რომლის საშუალებითაც საკუთარი „პროგრამა-ინტერესების“ თავსმოხვევა შეუძლიათ. მაგალითად, მაკედონიაში ეს ფინანსები ემსახურება საერთო მიზანს, მოახდინონ მაკედონიის ტრანსფორმირება დასავლური ტიპის კაპიტალისტურ სახელმწიფოდ.

არასამთავრობო ბრძოლა, როგორც წესი, არ გადმოდის ქუჩაში; ის არასდროს არ არის ძალადობრივი და არასდროს არ არის მიმართული საზოგადოების ძირეულ პრობლემაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არც ერთი მთავრობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, სამაგიეროდ, ახერხებენ ბრაზის ათვისებას“...

მაკედონიასა და სხვაგან რა ხდება, იქით იყოს, მაგრამ ეს საქართველოა!

ვის არ ახსოვს 2003 წლის შემოდგომა, როდესაც ყველა პირი, რომელიც არასამთავრობო სექტორში მოიაზრებოდა, ქუჩაში იდგა „რევოლუციის“ მხადასაჭერად. თუ რომელიმე პოზიციის მხარდამჭერი ხარ, არ ხარ არასამთავრობო ორგანიზაცია და თუ ხარ, რა შენი საქმეა სახელმწიფო გადატრიალება? — ასე რომ, ძალიანაც კარგად წარმოადგენენ საფრთხეს.

და კიდევ, ისევ საქართველოს მაგალითზე, კარგად ვხედავთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ის პლაცდარმებია, საიდანაც ხელისუფლებაში უმტკივნეულოდ გადაფრინდებიან ხოლმე. ამდენად, აშშ-ის დაფუძნებულ-დაფინანსებული იქნება თუ „ევროპის დემოკრატიის ფონდის“, მნიშვნელობა არ აქვს ფონდს, თუ ის პოლიტიკურ პარტიებს აფინანსებს და არჩევნებში ერევა.

ასე რომ, რომელ „მდიდარ არასამთავრობო ორგანიზაციებზეა“ საუბარი, როდესაც უკვე ღიად გებრძვიან და იცით, ვინ და რატომაც გებრძვით?

მიყვარს ის საქართველო, რომელიც ხმას იღებს ნებისმიერ უმსგავსობაზე!

**მაია ჭელიძე**

# გენდერული იდეოლოგია თანამედროვე სამყაროს ყველაზე საშიში ცნებაა



*გვესაუბრება პოლიტოლოგი გია აბაშიძე*

**- ბატონო გია, ცოტა ხნის წინ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში.**

- ამერიკის პოლიტიკურ ლანდშაფტში ურთულესი ვითარებაა. ჯერ კიდევ შეუძლებელია პროგნოზირება, თუ ვინ გაიმარჯვებს 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში. სოციოლოგიური კვლევებით, ბოლო თვეების განმავლობაში, ტრამპი რამდენიმე პუნქტით უსწრებს ბაიდენს, თუმცა კვლევა ერთია და რეალობა - სხვა. გვახსოვს, რაც მოხდა 2020 წელს, როდესაც ამერიკის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებამ გადმოსცა, რომ არჩევნები იყო გაყალბებული და მხოლოდ საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ შემოვიდა ფოსტით მიცემული ხმები. ამას მოჰყვა 2021 წლის 6 იანვრის შეჭრა კაპიტოლიუმში.

თავის ყველა საჯარო გამოსვლაში დონალდ ტრამპი ამბობს, რომ მისი მხარდამჭერთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რთული იქნება არჩევნების გაყალბება. საინტერესოა, რატომ ამბობს ამას საპრეზიდენტო კანდიდატი, თუკი არ იყო გაყალბების მცდელობა? რატომ არ ამბობდნენ ამას წინა პრეზიდენტები, წინა საარჩევნო კამპანიების დროს? ტყუილ-უბრალოდ არ ხდება ასეთი მინიშნებები. ვერანაირად დავამტკიცებ იმას, რომ ამერიკაში არჩევნები გაყალბდა, მაგრამ ეჭვები არის.

რადგან დონალდ ტრამპის წინააღმდეგ ოთხი სხვადასხვა სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, ბოლო მონაცემებით, მისმა ადვოკატებმა აიღეს სტარტეგია, რომ მაქსიმალურად გადაიდოს სასამართლო მოსმენები. ისინი აცხადებენ, რომ ბევრი უზუსტობაა ამ საქმეებში და დაზუსტებას დრო სჭირდება, რაც პოლიტიკურად სწორი ტაქტიკაა, რადგან რაც მეტად მიუახლოვდებიან საარჩევნო თარიღს, უფრო რთული იქნება მოსამართლეებისთვის საქმის განხილვა და, მით უფრო - განაჩენის გამოტანა. თუმცა, არ დაგვავიწყდეს, რომ საბოლოო სიტყვა უნდა თქვას აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა უფლება დონალდ ტრამპს, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. რადგან ტრამპი ეჭვმიტანილია კაპიტოლიუმში შეჭრის თანაორგანიზატორობაში და ამერიკის რამდენიმე შტატი მის კანდიდატურას ამის გამო ეწინააღმდეგება. უზენაესი სასამართლოც წელავს საქმის განხლვას. სავარაუდოდ, პოლიტიკური პროცესების განვითარებას ელოდება.

ამავე დროს, ჯო ბაიდენს აქვს პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ საკმაოდ არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა უკვე ამერიკაში. უკრაინის მილიარდობით დოლარით დახმარებამ და უკანონო იმიგრაციამ, გარკვეულწილად, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება გამოიწვია. იმიგრაცია ამერიკისთვის, დღეს ნომერ პირველი გამოწვევაა, რამაც უკვე სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამერიკას. გამწვავებულია უდიდეს ქალაქებში კრიმინოგენული სიტუაცია, ქუჩებში სიარული სახიფათოა. ამას აპროტესტებენ ამერიკელები და მთლიანად რესპუბლიკური პარტია. ისინი პრინციპულად მოითხოვენ, რომ არალეგალებმა დატოვონ ამერიკის ტერიტორია.

**- აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას აგრძელებს. კანონმდებლებს პრეზიდენტის ვაჟთანაც გარკვეული შეკითხვები აქვთ.**

- რასაკვირველია, ბაიდენის იმპიჩმენტი ემუქრება. თუმცა, თუ კონგრესის ქვედა პალატაში „რესპუბლიკელებს“ აქვთ ოდნავი უმრავლესობა, სენატში მათ ეს არა აქვთ და ბუნებრივია, იმპიჩმენტის დამტკიცების პროცედურაში საბოლოო სიტყვა სენატს ეკუთვნის.

რაც შეეხება ბაიდენის უფროს ვაჟს, ჰანტერ ბაიდენს, საზოგადოებრივი იმიჯის თვალსაზრისით, ის მამას უდიდეს ზიანს აყენებს. თავდაპირველად უარზე იყო, მაგრამ შემდეგ ჩვენების მისაცემად მივიდა, რადგან კონგრესისთვის თავის არიდება უდიდესი დანაშაულია.

მისი ბოლო გამოსვლა კონგრესში შოკისმომგვრელი იყო თავად ამერიკელი საზოგადოებისთვის. ჰანტერ ბაიდენმა აღიარა, რომ როდესაც მამამისი ჯო ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტი იყო ობამას ადმინისტრაციაში, ის იყენებდა მამის სახელს და უკანონო ბიზნეს-კავშირები ჰქონდა ჩინეთთან, რუსეთთან და უკრაინასთან. მანვე აღიარა, რომ იყო ნარკოდამოკიდებული, რის გამოც აღარ ახსოვს, რას აკეთებდა. სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა, რამდენიმე წლის წინ დაკარგა პირადი ლეპტოპი, სადაც ყველა ჩანაწერი ინახებოდა მის უკანონო ბიზნეს გარიგებებზე. ლეპტოპი ხელში „დემოკრატების“ მიერ კონტროლირებადი მედიის წარმომადგენლებს ჩაუვარდა და ბაიდენის ვაჟი მართლმსაჯულებას გადაურჩა. თუმცა, გასულ წელს, როდესაც უკვე კონგრესის ქვედა პალატაში უმრავლესობა „რესპუბლიკელებმა“ დაიკავეს, ამ დანაშაულს საკონგრესო განხილვის მნიშვნელობა მიეცა.

ნარკოთრობის დროს, ჰანტერ ბაიდენმა, გარდა ამ უკანონო გარიგებებისა, დამალა გადასახადები, ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს, რაც უკანონოდ ითვლება ნარკოტიკული თრობის დროს. ეს საქმეებიც ამოტივტივდა და პროკურატურაშია. ასე რომ, უფროსი შვილი დიდ დარტყმას აყენებს მამის იმიჯს. პლუს ამას, დღე არ გავა, რომ 81 წლის ჯო ბაიდენმა რაღაც „კაზუსი“ არ ჩაიდინოს, ელაპარაკება გაუგებარ ხალხს, ესალმება კედლებს, სცენიდან ვერ გადის და ამაზე სიცილ-ხორხოცია მსოფლიოში.

ასე რომ, ტრამპს წინ აქვს ოთხი სასამართლო განხილვა, ბაიდენს კი აქვს პრობლემები შვილის გამო, ასაკის გამო და ჯერ კიდევ გაუცხადებელი ავადმყოფობის გამო. რაც ყველაზე საგულისხმოა, არც „რესპუბლიკელებში“ და არც დემოკრატებში, სხვა „სათადარიგო“ კანდიდატი არ არსებობს.

**- აშშ-მა უკრაინას დროებით ფინანსური დახმარება შეუწვიტა და თუ კონგრესმა, რომელიც ჯერ კიდევ შვებულებაშია, ამ საკითხზე დროულად არ იფიქრა, უკრაინას კიდევ უფრო გაუჭირდება...**

- რომ არა ამერიკის, ევროპის და ნატოს მოკავშირე სხვა ქვეყნების სამხედრო ფინანსური დახმარება, უკრაინას ბოლომდე დაიპყრობდა რუსეთი. თუმცა, არის ერთი ძალიან გაუგებარი ფაქტორი - კონგრესში შეიმუშავეს კანონპროექტი, სადაც გათვალისწინებულია მექსიკასთან საზღვრის დაცვა და ისრაელ-




ისა და უკრაინისთვის დახმარების გამოყოფა. ეს სამივე მიმართულება კანონპროექტის ერთ პაკეტშია. „რესუბლიკელები“, რომლებიც ძალიან ხისტად მოითხოვენ მექსიკასთან საზღვრის დაბლოკვას და უკანონო იმიგრანტების გარეთ გაყრას, ასევე, ბლოკავენ დახმარებას უკრაინისთვის. მათი ლოგიკა ასეთია, რომ ჯერ თავად აქვთ საომარი სამხრეთ საზღვარზე! ეს არის არამხოლოდ „რესუბლიკელების“, არამედ კონსერვატიულად განწყობილი ამერიკის განწყობა და კონსერვატიული განწყობები ამერიკაში სულაც არ არის მარგინალური.

ამერიკა, ფაქტობრივად, ორად გაყოფილია: „დემოკრატები“- ეგრეთ წოდებული ფსევდოლიბერალები და „კონსერვატორები“- ეგრეთ წოდებული ულტრამემარჯვენეები. ესეც კიდევ ერთი ტრაგიკომიკური პარალელელია საქართველოსთან. როდესაც ჩვენ დეპოლარიზაციაზე მიგვითითებენ, შეხედონ, რა ხდება ამერიკაში!

**- ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და მისი მავნე შედეგებისაგან დასაცავად, პარლამენტი მალე კანონპროექტს შეიმუშავებს. თუმცა, ოპოზიცია უკვე არ ეთანხმება ამ ინიციატივას, და ამჯერადაც ამბობს, რომ ხელისუფლება „რუსულ გზას დაადგა“...**

- ეს ფსევდოლიბერალური იდეოლოგია, რომელიც ამერიკიდან წამოვიდა და შემდეგ ევროპაში გავრცელდა, არის მემარცხენე პროპაგანდა, რომელიც ნიშნავს „გაღვიძებას“, ჭარბი ყურადღების მიქცევას და ვითომ სოციალურ სამართლიანობას უმცირესობებისთვის, - ეს იქნება რასობრივი უმცირესობა, რელიგიური, გენდერული, ლგბტ თუ სხვა... ამ პროპაგანდამ ისე შეაწუხა ამერიკელები, რომ 2023 წლის მაისში, ფლორიდის გუბერნატორმა რონ დესანტისმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც ზღუდავს ფლორიდის შტატში, ეგრეთ წოდებული გენდერული მტკიცებულებით, არასრულწლოვანთა მკურნალობას; საჯარო დრეგ-შოუებს, როდესაც ქალი ან მამაკაცი საპირისპირო სქესის მქონე ადამიანის როლს ირგებს; ტრანსგენდერების მიერ სველი წერტილების არაზუსტ გამოყენებას, გენდერზე ნაცვალსახელების გამოყენების რეგულაციებს სკოლებში და ასე შემდეგ. ოპოზიციის ნარატივიდან გამომდინარე, „რუსი“ ყოფილა ეს გუბერნატორიც, რადგან ამდენი გაბედა და ფსევდოლიბერალებს კანონით დაუპირისპირდა.

გარდა ამისა, ამერიკის იმ შტატებში, სადაც „რესპუბლიკელები“ არიან სათავეში, გინდ ადგილობრივ და გინდაც საკანონმდებლო ორგანოებში, უკვე რამდენიმე წელია, მიიღებული აქვთ ისეთი საკანონმდებლო პაკეტები, რის მიხედვითაც აკრძალულია გენდერული იდეოლოგიის პროპაგანდა სკოლებში. აქ არავინ ეხება ლგბტ უფლებებს, რადგან მათ ათწლეულებია აქვთ თავისუფლება, აქ საუბარია მავნებლურ გენდერულ პოლიტიკაზე. წარმოიდგინეთ, როგორი სამარცხვინო სიტუაცია შეიქმნა გლობალურად, როცა გამოგვიცხადეს, რომ თურმე 70-ზე მეტი გენდერი არსებობს. აქამდე მხოლოდ ქალი და მამაკაცი არსებობდა, მათ დაემატა ტრანსგენდერი, მაგრამ ჩნდება კითხვა, დანარჩენი რა უნდა იყოს? ვინ არის დანარჩენი გენდერი?.. და თურმე ესენი არიან ადამიანები, რომლებიც „ქორწინდებიან“ თოჯინაზე; ცხოველზე; ხეზე; საკუთარ თავზე... და ასე შემდეგ... უკიდეგანოა მათი ფანტაზია. ანუ, სხვადასხვა სექსუალური ფეტიში და გარყვნილება მონათლეს გენდერად!

„გენდერული თეორია და გენდერული იდეოლოგია, რომელიც მამაკაცებს და ქალებს შორის განსხვავებას აქრობს, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე საშიში ცნებაა. ამ განსხვავების გაუქმება კაცობრიობის წაშლაა“, - განაცხადა სულ ახლახანს რომის პაპმა ფრანცისკემ ვატიკანში გამართულ საერთაშორისო ანთროპოლოგიურ კონფერენციაზე...

გენდერული იდეოლოგია ერთგვარ რელიგიად გამოაცხადეს ულტრამემარცხენე სექტანტებმა. ამის ნიშნები უკვე საქართველოშიც არის. ქართულ საზოგადოებას გვაკადრეს და „მაკდონალდსში“ ელტონ ჯონის გეი-ცხოვრების ამსახველი ისტორია ბავშვებს შესთავაზეს, სულაკაურის გამომცემლობამ რაღაც მსგავსი სისულელე ჩაწერა წიგნში, კეზერაშვილის „ფორმულაზე“ სერიალში პატარა გოგო ამბობს, რომ „ბიჭები არ მოსწონს“... ამაში ფულია გადახდილი დასავლეთიდან ულტრა-მემარცხენე გენდერული პოლიტიკის მქადაგებლების მიერ და სწორედ ამას სჭირდება საკანონმდებლო „ლაგამის“ ამოდება.

ჩვენს შოუ-ბიზნესში, აშკარად არიან განსხვავებული ორიენტაციის მამაკაცები. ტელესივრცეში, საჯარო სივრცეში იწვევენ ტრანსგენდერებს და მათ არანაირი პრობლემა არა აქვთ; თბილისსა და ბათუმში არის გეი-კლუბები, ბარები და იქ არავინ არ შევარდნილა... მაგრამ საზოგადოება ღიზიანდება, როდესაც მაგალითად, ქაშვეთის ფონზე ლგბტ დროშას აფრიალებ! დანარჩენად ვინ ეხება მათ?! ასე რომ, საკმაოდ დროული და აუცილებლად მისაღებია საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და მისი მავნე ზეგავლენისგან დაიცავს.

**ნონა ქარქაშაძე**

# ნეტავ, რამდენი გადაუხადეს ქვეყნის პრეზიდენტს საკუთარი ეკლესიის შეურაცხყოფისთვის?



*„საერთო გაზეთთან“ საუბრობს მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი ***თამარ ჩიბურდანიძე***

**- ევროპარლამენტის რეზოლუციაში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, სააკაშვილის თემა ისევ აქტუალურია. მოწოდება ექსპრეზიდენტის გათავისუფლების შესახებ როგორ თავსდება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის ამჟამინდელ კონტექსტში?**

- ეს არის პოლიტიკური ხრიკი, რომელიც ევროპარლამენტში გაითამაშეს. პარლამენტის რეზოლუცია არის რეკომენდაცია ჩვენთვის, რაც არ გვავალდებულებს, რომ გვინდა თუ არა, ეს უნდა გავაკეთოთ.

თუკი სააკაშვილის შეწყალების რეკომენდაციას ვინმე გაითვალისწინებს, ეს ერთადერთი სალომე ზურაბიშვილია. სწორედ მასზე ხდება კონცენტრირება გარკვეული ლობისტების მხრიდან, რომლებიც სხვადასხვა დავალებას აძლევენ ქვეყნის პრეზიდენტს. გაუხსნეს გზა მსოფლიო მედიაში ზურაბიშვილს, რომელიც ხან „სი-ენ-ენთან“ ზის, ხან „ბი-ბი-სისთან“, ხან საფრანგეთის რომელიღაც ტელეარხთან, ხანაც ინტერვიუს აძლევს მათ საქართველოდან. ეს, რა თქმა უნდა, კოლოსალური თანხები ჯდება, რასაც ოპოზიციის უცხოელი ლობისტები აგვარებენ. თუკი აქამდე მიხეილ სააკაშვილი იყო მსოფლიო მედიის ეგრეთ წოდებული ვარსკვლავი, დღეს - სალომე ზურაბიშვილია. ახლა მას უქმნიან საერთაშორისო იმიჯს და ამით „ასაჩუქრებენ“. სურთ, რომ ზურაბიშვილი გაერთიანებულ ოპოზიციას ჩაუდგეს სათავეში, სანაცვლოდ კი მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს.



მათ იციან, რომ სააკაშვილის შეწყალება მხოლოდ მორალური ასპექტია და რადგან ზურაბიშვილს მორალისთვის ბევრჯერ გადაუბიჯებია, არც ეს გაუჭირდება.

ველი, რომ სალომე ზურაბიშვილს შეაწყალებინებენ მიხეილ სააკაშვილს, რადგან ზურაბიშვილი არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებში, მისი თითოეული სიტყვა და ნაბიჯი საერთაშორისო ლობისტების მოთხოვნებზეა გათვლილი. არ ვიცი, იურიდიულად ეს როგორ მოხერხდება, რადგან სააკაშვილის ორ საქმეზე განაჩენი ჯერ არ დამდგარა, თუმცა, თუ მას გამოუშვებენ, შეიძლება გარკვეული პერიოდი მოუწიოს გარეთ ყოფნა, რასაც იმისათვის გამოიყენებენ, რომ საქართველოში საპროტესტო ტალღა ააგორონ.

**- მაინც, რისთვის უნდა აძლევდეთ ხელს სააკაშვილის გათავისუფლება უცხოელ ლობისტებს?**

- არეულობისთვის! იგივე მიზნისთვის სჭირდებათ სააკაშვილი, რისთვისაც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში შემოიყვანეს. იცოდნენ, რომ მას დააკავებდნენ, მაგრამ ამას, მათი აზრით, საზოგადოების პროტესტი მოჰყვებოდა, რაც მოახდენდა გავლენას არჩევნებზე. რადგან ეს ვერ მოახერხეს, კიდევ ერთხელ უნდათ, სცადონ.

რევოლუციას, ამბოხს და პროტესტს ქარიზმა სჭირდება, რაც მიშას ნამდვილად აქვს. მათ სჭირდებათ ლიდერი. ხაბეიშვილი რომ ვერანაირად ვერ იქცეოდა ლიდერად, ლობისტებმა ეს თავის დროზეც იცოდნენ, როდესაც მას პარტიის თავმჯდომარედ ნიშნავდნენ. ახლა სალომე ზურაბიშვილი შეარჩიეს თითქოს გამაერთიანებლად, მაგრამ მას ქარიზმა არა აქვს. მან შეიძლება იმუშავოს უცხოეთში ჩვენს ემიგრანტებზე, მაგრამ ვერ იმუშავებს „შიგნით“, რადგან არა აქვს საზოგადოების მხარდაჭერა. ზურაბიშვილმა თავის არჩევნებზე ვერ აიღო ხმები და სხვის არჩევნებზე რა ხმები უნდა აიღოს?! ვერც ნიკა გვარამია გამოდგება, რადგან ის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილეა და მას ყველაზე მეტად აქვს სისხლში გასვრილი... გაუჭირდათ ისეთი ქარიზმატული ლიდერის შერჩევა, რომელიც „ქვეყანას დაანგრევს“, ამიტომაც სჭირდებათ მიშას გამოშვება. თუმცა, არ მგონი,ა მის გამოშვებას არჩევნებამდე 7-8 თვით ადრე გეგმავდნენ, რაში აწყობთ, რომ ტალღა ახლა ააგორონ, რომელიც რამდენიმე დღეში ჩაქრება. ჩემი ვარაუდით, სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს მაშინ, როცა საარჩევნო კამპანია პიკში იქნება, რათა მიშამ თავისი ქარიზმით შეძლოს ხმების მოგროვება და ქართველი ხალხის გაღიზიანება. დღესაც ელანდება, ალბათ, სააკაშვილს წალენჯიხის ავტობუსი, რომელიც 2003 წელს მოუძღვოდა საქართველოს, როგორც „ვარდების რევოლუციის“ სიმბოლო. თუმცა, მათ ერთი რამ ავიწყდებათ, რომ ისტორიულად, პოლიტიკაში ერთი და იგივე სცენარი არ მეორდება. ერთხელ ნაცადი გზა აღარ არის შედეგზე ორიენტირებული.

ამჯერად ოპოზიცია სხვაგვარად დაალაგეს. აქეთ „ლელოს“ უნდა, მესამე ძალა გახდეს, მაგრამ ხალხმა უნდა გაღიაროს როგორც სახე, როგორც იდეოლოგი და ამ შემთხვევაში ხდები „მესამე ძალა“... იქით ნიკა გვარამია და გახარია ცოდვილობენ, რომ როგორმე ამომრჩევლის იმ 40 პროცენტის ხმები წამოიღონ, რომლებსაც ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ვისკენ გადაიხარონ. რეალურად ყოველთვის ასეა, რომ ამ ადამიანების 20-25 პროცენტი რჩება სახლში, ის 15 პროცენტი კი, ვისთვისაც გადაწყვეტილების მიღება რთულია, გარეთ რაღაცამ უნდა გამოიყვანოს. რა იდეა უნდა მიაწოდონ მათ ამ ადამიანებს? თქვეს, პენსიას 1000-ლარამდე გავზრდითო და თვითონ ოპოზიციამ დასცინა „ლელოს“, „გირჩმა“ საყოველთაო ამნისტიაზე დაიწყო საუბარი და მას „ლელო“ დასცინის. თუ რომელიმე რაღაც ინიციატივას დადებს, ერთმანეთს უბათილებენ ამ ინიციატივებს... ამასობაში ხელისუფლება რეიტინგს კრეფს და ყოველდღიურად წინ მიიწევს.

**- სალომე ზურაბიშვილმა მართლაც ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა და მსოფლიოს წინაშე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფაც კი იკადრა. არ მგონია, ვერ ხვდებოდა, თუ რას ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უწევს საკუთარი „ნაზრევის“ გამო განმარტების გაკეთება...**

- ეს უკვე კულმინაცია იყო. ზურაბიშვილის მიერ პატრიარქის შეურაცხყოფა ბევრად დიდი დანაშაულია, ვიდრე სააკაშვილის შეწყალება შეიძლება იყოს. ამაზე უარესს ის ვერასდროს ვერაფერს გააკეთებს!

პატრიარქის შეურაცხყოფით სალომე ზურაბიშვილმა ჯერ არდაწყებული წინასაარჩევნო კამპანია სრული ფიასკოთი დაასრულა, მან ყელში დანა გამოუსვა ყველა იმ ოპოზიციურ პარტიას, რომლის შემოკრებასაც მის ირგვლივ უცხოელი ლობისტები ცდილობენ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე მთელი მსოფლიო საუბრობს, მისი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, მსოფლიო დონის ავტორიტეტი აქვს ჩვენს უწმიდესს, რასაც არამხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქები, ისლამური სახელმწიფოების წარმომადგენლებიც აღიარებენ. ვერც ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ვერ გაბედა მსოფლიოში ჩვენი უწმიდესის შეურაცხყოფა და სწორედ ამ ყველაზე დიდ ავტორიტეტს დაარტყა სალომე ზურაბიშვილმა მსოფლიოს გასაგონად.

კიდევ რჩება ვინმეს კითხვა, თუ რატომ არ აფინანსებს პრეზიდენტის უცხოეთში ვიზიტებს მთავრობა? ვინ იცის, რამდენი ასეთი განცხადება აქვს გაკეთებული ზურაბიშვილს ისე, რომ ჩვენ არ ვიცით და იცის ხელისუფლებამ!

სალომე ზურაბიშვილს ქართული ეკლესიის მწყემსმთავრის საერთაშორისო შეურაცხყოფას ქართველი ხალხი არ აპატიებს. ეს შეცდომა არ ყოფილა, ეს იყო მიზანმიმართული მავნებლური განაცხადი მსოფლიოს გასაგონად. ნეტავ, რამდენი გადაუხადეს ქვეყნის პრეზიდენტს საკუთარი ეკლესიის შეურაცხყოფისთვის?



**- მალე პარლამენტში განსახილველად განათლების რეფორმის პროექტი შევა. რას ითვალისწინებს ეს რეფორმა?**

- ეს არის რევოლუციური ინიციატივა, რასაც წლებია, ველოდით. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი სასკოლო განათლების შესახებ არის სწორედ ის, რაზეც ჩვენი მამები მიგვითითებდნენ - ცივილიზებულ სამყაროში ქართული აზროვნებით ინტეგრირება. ეს არის ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის საფუძველი. შეუძლებელია, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილმა ბავშვმა თავის ქვეყანას რაიმე ავნოს ან უცხო ქვეყნის აგენტად იქცეს. პროექტი მიმდინარე კვირაში შემოვა პარლამენტში ღია საპარლამენტო კომიტეტზე, რასაც დეტალურად მთელი საქართველო ნახავს. ვიმუშავებთ თითოეულ თემაზე, ვისაუბრებთ და გავაკეთებთ ღია განცხადებებს.

90-იანი წლების შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სასკოლო და უმაღლესი განათლება ქართული აზროვნების საძირკვლად გვექცია, პირიქით ხდებოდა. ლომაიას რეფორმის შედეგად მიზანმიმართულად დეგრადირებული განათლების სისტემიდან ქართული სული და გული ამოიღეს. ყოველწლიურად უარესდებოდა და ქრებოდა ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგია სახელმძღვანელოებში. 2012 წლის შემდეგ ცალკეული ინიციატივებით ტარდებოდა რეფორმები, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ორი წელი დაგვჭირდა საბრძოლველად, რათა სკოლებში გოგებაშვილის „დედაენა“ დაგვებრუნებინა, რადგან ეროვნულ-პატრიოტული მოტივაციის მქონე იდეების სკოლაში შეტანის გამო ყოველთვის გვეწინააღმდეგებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

საქართველო დემოკრატიული სამყაროს ნაწილია და აუცილებელია პროგრესული აზროვნება ახალგაზრდებში. იაკობ გოგებაშვილმაც კი გვიანდერძა, რომ „დედა ენა“ მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. თუმცა, უნდა შევინარჩუნოთ ძირეული ქართული და მას დავაშენოთ ეპოქის სიახლე, რაც ჩვენს ფასეულობებთან იქნება თავსებადი. სწორედ ამაზეა დაფუძნებული ახალი საგანმანათლებლო პროექტი, რასაც გიორგი ამილახვარი გვთავაზობს.

**- არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას სახელმწიფო კანონის ძალით უპირისპირდება. რამ გამოიწვია ამის კანონით დარეგულირების საჭიროება?**

- ეს არის პრევენცია. ყოველდღიურად გვესმის, რომ ბრიტანეთში მიიღეს კანონი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანმა სტრუქტურაში აკრძალა გენდერული ტერმინების გამოყენება, ვხედავთ ამერიკის სხვადასხვა შტატსა და ევროპულ სახელმწიფოებში რა ხდება... მართლმადიდებელი სახელმწიფო საბერძნეთი იყო უკვე პიკი, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს. უარესი რა უნდა მოხდეს?!

ადამიანის უფლებრივი დაცვა აუცილებელია, მაგრამ აიკრძალება პროპაგანდა, ანუ ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელება, რაც გარდაუვალი მავნე შედეგების მომტანია. საქართველო მართლმადიდებელი, ტრადიციული სახელმწიფოა, რომელიც ევროკავშირისკენ მიდის. აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა, თუმცა არასდროს დავაკანონებთ იმას, რაც ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციებისთვის მიუღებელია. ჩვენი სამშობლო უდიდესი სიწმინდეების ადგილია. საქართველო თავიდან ბოლომდე ქრისტიანობის ისტორიაა. ამიტომაც, ყველა ხელისუფლება ვალდებულია, გაუფრთხილდეს და შეუნარჩუნოს ეს ყველაფერი მომავალ თაობებს. ამ მისიას ქვეყნის წინაშე „ქართული ოცნება“ პირნათლად ასრულებს.

**ნონა ქარქაშაძე**

# პოლარიზებული საზოგადოებისთვის სახელმწიფოს შენარჩუნება რთულია



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი თამარ კიკნაძე:*

**— ქალბატონო თამარ, ბოლო დროს ხშირად ისმის საუბარი ქართულ პოლიტიკაში უცხოური ფულის შემოდინებაზე. რა საფრთხეების შემცველია ეს?**

— პოლიტიკური პარტიების შემოსავალი კანონმდებლობით მკაცრად რეგულირდება, მაგრამ პოლიტიკას მხოლოდ პოლიტიკური პარტიები როდი განსაზღვრავენ. უცხოური ფულის შემოსვლის საკმაოდ ბევრი საშუალება არსებობს. აკრძალვა გამოსავალი არ არის. თუმცა, აქ უამრავი გავლენის სოციალური აგენტია, რომელიც გარე ძალების მიერ ფინანსდება და საქართველოში პოლიტიკურ ამინდს ქმნის. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. ასევე, განათლების სისტემაც. ჩვენ „ბოლონიის პროცესში“ ვართ ჩაბმული, ეროვნული, დამოუკიდებელი განათლება არ გვაქვს და გარე ძალების მითითებებს ვასრულებთ.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ სუვერენული ქვეყანა. ამიტომ ჩვენზე მათი გავლენა ძალიან დიდია. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში არაერთი თეორია შემუშავდა, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის აღმშენებლობა. უპირველესი ის არის, რომ საზოგადოება ორად გახლეჩილი არ იყოს. ყოველი ახალი არჩევნების შემდეგ საზოგადოება სულ უფრო და უფრო იხლიჩება. გარდა ამისა, დააკვირდით, რამდენი სტრატაა: ზვიადისტები, შევარდნაძისტები, მიშისტები, ბიძინისტები, ახლა დაემატა პრო-დასავლელები, პრო-რუსები, ეიჯიზმი და ა. შ. ასე გახლეჩილი საზოგადოებისთვის, რაც სწორედ გარე ძალების მიერ არის პროვოცირებული, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობა საკმაოდ რთულია. მათი ზეწოლა იმდენად დიდია, რომ ქართველები ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ პროცესებში ისე ერთვებიან, ვერც კი ხვდებიან, ზოგი ხვდება, მაგრამ ქვეყანას ფულზე ყიდის.

**— როგორც აღნიშნეთ: პოლიტიკური პარტიების შემოსავლები კანონით რეგულირდება, მაგრამ, როგორც ირკვევა, ოპოზიციური პარტიები ყალბ არასამთავრობოებს აარსებენ და დონორების ფულს პოლიტიკაში იყენებენ.**

— ხომ გახსოვთ, პარლამენტს „ფარას“ კანონი რომ უნდა მიეღო, მაგრამ ოპოზიციამ ამას ისეთი ანტიპიარი გაუკეთა, რომ ლამის რევოლუცია მოახდინეს. არადა, თუ გვინდა, ქვეყანა შემდგარი იყოს, გარედან შემოსული ფინანსები უნდა გაკონტროლდეს, რადგან აქ ეს თანხები არეულობის მოსაწყობად შემოდის. 7-8 მარტის აქციებიც, რაც ამ კანონპროექტის გაპროტესტებას მოჰყვა, გარედან იყო დაფინანსებული. რატომ ატყდა ასეთი ხმაური? — იმიტომ, რომ ლუსტრირება არ მომხდარიყო, თუ ვინ რა წყაროებიდან ფინანსდება. შემოდინებული ფულით კი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან. სამიზნე ჯგუფი, ძირითადად, ახალგაზრდობაა, რომელიც პროცესებში ისე ერთვება, არც კი აანალიზებს, რასთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი. იმ ძალებმა, რომლებიც აქ არეულობის მოწყობას გეგმავენ, კარგად უწყიან, სასურველ მიზანს როგორ მიაღწიონ. „ფარას“ კანონპროექტმა სამოქალაქო სექტორი ააღელვა.

რომელ სამოქალაქო სექტორზე ვლაპარაკობთ? კი ბატონო, ის ადგილობრივი ბიუჯეტიდან რომ ფინანსდებოდეს, დავიჯერებ, რომ ეს ის ძალაა, რომელიც ხელისუფლებას ჯანსაღ ოპონირებას გაუწევს.

წესით, ოპოზიციური პარტიები სწორედ ამიტომ არსებობს. მაგრამ ჩვენი ოპოზიცია, ენჯეოები საკუთარ სამშობლოში სხვა ქვეყნების ინტერესებს ატარებენ და ამაში დიდ დაფინანსებას იღებენ.

როგორც აღვნიშნე, ამ პროცესში ახალგაზრდობის დიდი ნაწილიც ჩართულია. ეს ძალები საქართველოში მთელ რიგ ღონისძიებებს გეგმავენ, მასმედიაც მათია, განათლების სისტემაც, ასევე, ბანაკებს აწყობენ, სადაც ეკონომიკურად გაჭირვებულ ახალგაზრდებს მთელ რიგ პრეფერენციებს, გასამრჯელოს სთავაზობენ. ეს კარგად აპრობირებული ხერხია, რაც საქართველოში წარმატებით მუშაობს. ასე რომ, აქ განსაკუთრებულად მძიმე პოლიტიკური სურათია შექმნილი, რისი გაანალიზებაც აუცილებელია. განსაკუთრებით რთული ვითარებაა განათლების სისტემაში. განათლების მინისტრს ვუსმენდი, რომელმაც აღნიშნა, რომ მომავალი თაობა სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის ჩანერგვის სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ. თუმცა რეფორმის განხორციელებას ღრმა ანალიზი სჭირდება, რათა დასახულ მიზანს მიაღწიო. სამწუხარო ისაა, რომ დაფინანსებულ ორგანიზაციებს ეროვნულობის არაფერი სცხიათ.

**— თანაც ამ ფულით სემინარებს ატარებენ იმაზე, თუ როგორ მოაწყონ რევოლუციები...**

— დიახ, პირდაპირ სოციალიზაცია ხდება. დავსვათ შეკითხვა: რატომ უნდა დახარჯონ უცხო ძალებმა საქართველოში ასეთი დიდძალი ფინანსები, თუ მათ რაიმე ინტერესი არ აქვთ?! ზოგს რომ ჰკითხოთ, გეტყვის, საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნავენ და იმიტომ გვაფინანსებენო. ეს ან მიამიტური დამოკიდებულებაა, ან საკუთარი შემოსავლების „გაპრავება“. მკაფიოდ უნდა გადაწყდეს — ვინც სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის, პასუხიც უნდა აგოს. ამისთვის ჯერ უნდა გავერკვეთ: რა გვინდა, რა მიზანი გვაქვს. მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიოში ძალიან რთული პროცესები მიდის. დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა უსიამოვნებაში არ გავეხვიოთ და მშვიდობა შევინარჩუნოთ.

**— წინ არჩევნებია. რამდენად შესაძლებელია, გარედან შემოსული ფული არჩევნებში იქნას გამოყენებული?**

— არჩევნებს რაც უფრო ვუახლოვდებით, ვითარება უფრო იძაბება. ოპოზიცია შვიდი თვით ადრე რევოლუციური სცენარისთვის ემზადება და გაიძახის: არჩევნების გაყალბება იგეგმებაო. მოსახლეობას წინასწარ ამზადებენ, მაგრამ ამომრჩეველმა უნდა გააცნობიეროს, რომ ნებისმიერი არეულობა საქართველოს შეიძლება სახელმწიფოებრიობის დაკარგვად დაუჯდეს. ეს ძალები, რომლებიც არეულობის მოწყობას გეგმავენ, ოპოზიცია კი არა, მეხუთე კოლონაა. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ხანდახან რომ ვუსმენ, ეს პირდაპირ სოფიზმია. ოღონდ, სოფისტები უფრო დახვეწილები იყვნენ და ლოგიკაც განვითარებული ჰქონდათ. ამათ ლოგიკაც არ აქვთ — პირდაპირ გიმტკიცებენ, რომ შავი თეთრია.

ოპოზიციისთვის უცხოეთიდან ფულის მიღება ნორმად იქცა. ზოგი ტაივანიდან ფინანსდება, ზოგი რუსეთიდან. მაგალითად, ხოშტარია რუსეთიდან ფინანსდება და რუსეთუმეს სხვას ეძახის. მთავარი ფინანსური წყაროების დივერსიფიცირებაა, რათა ერთ წყაროზე აქცენტირება არ გაკეთდეს. ფაქტი ერთია: უცხო ფულით დაფინანსებულნი, საქართველოს პატრიოტები არ არიან.

**— ბოკუჩავამ ბრძანა, პოლიტიკაში თუ რამე ახდენს მავნე გავლენას, ეს რუსული ფულიაო...**

— ოდესღაც ყველაფერს ყვავილი გასდის. მოსახლეობას, რომელიც აზროვნებს, ოპოზიციის მიერ რუსულ ფულზე აქცენტის გაკეთება უკვე ყელში ამოუვიდა. სამწუხაროდ, მათ ანკესს ეგება ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელიც აბსოლუტურად არარაციონალურად აზროვნებს.



**— რომან გოცირიძემ განაცხადა, დემოკრატიის განვითარებას თუ უწყობს ხელს, მაშინ შემოსული ფული არაკანონიერი არ არისო.**

— ოპოზიცია ყველა ქმედებას დემოკრატიას აბრალებს. ერთმა ფრანგმა მეცნიერმა თქვა, როცა რაიმე სიტყვას ხშირად იყენებ, მას ყავლი გასდისო. სიტყვა „დემოკრატიაც“ უკვე ბევრს აღარ მოსწონს, რადგან ეს სიტყვა აქ განუკითხაობასთან ასოცირდება — ვისაც რა სურს, იმას ლაპარაკობს. არავითარი ცენზურა არ არსებობს. ბუნებრივია, ხელისუფლებას უნდა, პროცესები გააკონტროლოს, მაგრამ მაშინვე გარე ძალების მხრიდან, აქაურ მეხუთე კოლონასთან ერთად, ორკესტრირებული შეტევა იწყება და შედეგად რევოლუციის მოწყობის, სანქციების დაწესებისა და სხვა საფრთხეები ჩნდება.

**— ფოტიგამ გასულ კვირას ევროპარლამენტის მიერ მიშას შეწყალების თაობაზე მიღებულ რეზოლუციაში შესწორება შეიტანა.**

— ფოტიგას რა პასუხი უნდა მოსთხოვო, როცა დასავლეთს მიშა დემოკრატიის შუქურად ჰყავს აღიარებული. არადა მან მოსახლეობას შავბნელი ცხრა წელი გამოატარა. დღევანდელი ხელისუფლება, მე რომ მკითხოთ, ზედმეტად დემოკრატია, ოპოზიციას ყველაფრის საშუალებას აძლევს. არადა, დასავლეთი ამ ხელისუფლების მოღვაწეობას ავტორიტარულ მმართველობას ადარებს. ეს აღმაშფოთებელია. მახსენდება, ჯორჯ ორუელის „1984 წელი“. დღეს ცნებები, დასახელებები ყველაფერი აღრეულია.

**— საუბრის დასაწყისში „უცხოური გავლენის აგენტების გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტი ახსენეთ. მისი უკან გაწვევა შეცდომა იყო?**

— იმისთვის რომ სიმშვიდე შენარჩუნებულიყო, ამ კანონის გაწვევა, ალბათ, შეცდომა არ იყო. მაგრამ მიმაჩნია, რომ მოსახლეობას ინფორმაცია არასწორად მიეწოდა. როცა განსახილველად ასეთი კანონპროექტი გამოგაქვს, ძალიან დიდი მოსამზადებელი სამუშაო უნდა ჩაატარო. ან შესაძლებელი იყო, ეს კანონი სულ არ გამოსულიყო განსახილველად და შესწორების სახით სხვა რომელიმე კანონში ასახულიყო. ამას ძალიან კარგი გათვლა, ანალიზი, მოქმედება სჭირდებოდა. თუმცა, მეორე მხრივ, ამით გარკვეული ძალების ლუსტრირება მოხდა.

**— ქალბატონო თამარ, კოალიციური მთავრობის ფორმირების პროცესზე რა აზრის ხართ?**

— კოალიციური მთავრობა მაშინ იქმნება, როცა ამომრჩევლის ხმების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა მიიღება. ამ შემთხვევაში რატომ უნდა ჩამოყალიბდეს კოალიციური მთავრობა მაშინ, როცა ოპოზიციას ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს?. შეიძლება კრიტიკა ხელისუფლების მიმართაც ისმის, მაგრამ პოლიტიკა ყოველთვის არის არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. ოპოზიცია კი ამ შემთხვევაში, არის უარესი. ხელისუფლების მიმართ ყოველთვის არსებობს პრეტენზიები. გინახავთ სადმე ხალხი, რომელიც ხელისუფლების კმაყოფილია?! ოპოზიცია, დასავლეთი გვამზადებენ იმისთვის, რომ კოალიციური მთავრობა უნდა შედგეს. ყველა არჩევნების უნდა გეშინოდეს, რომ დესტაბილიზაცია არ შეიქმნას. ეს იმის პირველი მაჩვენებელია, რომ სუვერენიტეტი არ გვაქვს, ჩვენი ქვეყნის ბედი ჩვენ თვითონ რომ გადავწყვიტოთ. ნაბიჯები კი გადაიდგა, მაგრამ მეტი სიმყარეა საჭირო, რათა სუვერენული ქვეყანა ვიყოთ.



**თამარ შველიძე**

# მაკრონის განცხადება სლავი ერის გაჟლეტისკენ იყო მიმართული



*გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:*

**— ქალბატონო მაია, ზურაბიშვილი უნებართვო ვოიაჟებს კვლავ განაგრძობს. ამჯერად ლონდონში იმყოფებოდა, სადაც ჟურნალისტის დასმულ შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი ქართული ეკლესიის როლზე, ასე უპასუხა: პატრიარქმა ეკლესიაში ძველი მეთოდები შეინარჩუნა. იმედია, ქართული ეკლესია მოახერხებს პროევროპელი და არა პრორუსი პატრიარქის არჩევასო.**

— ეს განცხადება ქართველი საზოგადოებისთვის მტკივნეული აღმოჩნდა. ჩემ ირგვლივ, ხალხი შოკში იყო. მე ამ ქალის გამონათქვამები უკვე აღარ მაკვირვებს, თუმცა ძალიან გავბრაზდი. ან რა გამაკვირვებს, როცა მახსოვს, როგორი თაფლით სავსე თვალებით შესციცინებდა ერთ დროს ლავროვს, მერე ჩვენს პატრიარქს და ბიძინა ივანიშვილს. ეს ხომ თავსმოხვეული პრეზიდენტია. სინამდვილეში, მისი არჩევით ჩვენ ხმა ბიძინა ივანიშვილს მივეცით. მიუნხენში მისი ვიზიტისას საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ზურაბიშვილი თავის სტატუსთან (დიპლომატი) აბსოლუტურად შეუფერებელია: ადამიანი, რომელსაც დიპლომატიის განხრით განათლება აქვს მიღებული, ურსულა ფონ დერ ლაიენს ბეჭში ხელს არ სტაცებს. დააკვირდით, ალბათ, რა დღეში იყო — ხან ზელენსკის ეპოტინებოდა ხელებით, ხან — ლაიენს. დიპლომატიურ ეტიკეტსა და წესზე წარმოდგენა არ აქვს. მისმა საქციელმა „იმერული ესკიზებიდან“ ოლია მათხოვარი გამახსენა. ოლია მათხოვარი ბევრად ღირსეული, თავმოყვარეა, ვიდრე „დიპლომატი“, კონსტიტუციის დამრღვევი ზურაბიშვილი.

მიუნხენში ვიზიტისას გამოჩნდა, რომ ზურაბიშვილი დასავლეთში არავის სჭირდება, იგი ყველას თვითონ ეპოტინება. მის მიმართ ლოკალური ინტერესები აქვთ სააკაშვილს და თემურ ალასანიას, ისიც, შეწყალების კუთხით. ზურაბიშვილი თავად ეძებს პატრონს, ამიტომ სააკაშვილის შეწყალების თემით ვაჭრობს, იხვეწება: რამედ ჩამაგდეთ, გამომიყენეთო. განა ვის რაში სჭირდება ნული დიპლომატი, კონსტიტუციის დამრღვევი და უავტორიტეტო ადამიანი?!

ზურაბიშვილისთვის დავალების მიმცემი შეიძლება ერთადერთი — ქართველებისგან შემდგარი არაქართული ოპოზიცია იყოს, რომელიც დაკვეთებს ხან ტაივანიდან იღებს, ხან ფინეთიდან და ღმერთმა უწყის, კიდევ საიდან აღარ. თავის დროზე მეც ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციაში, თუმცა მიმაჩნია, რომ კარგ საქმეს ვემსახურებოდი — საქართველოში დამოუკიდებელი ექსპერტიზა დავნერგე, რაც დღესაც მუშაობს. მაგრამ, როცა მივხვდი, ამ ფონდში რაც ხდებოდა, მაშინ „ასავალ-დასავალში“ დიდი ასოებით დავწერე: ვნანობ, რომ „სოროსის“ ფულს ხელი მოვკიდე-მეთქი. რას წარმოადგენდა სააკაშვილი, ეს უკვე 2004 წლის თებერვალში გავაცნობიერე, როცა მკვლელობების სერიები დაიწყო. საბოლოოდ, სადისტური რეჟიმი ჩამოყალიბდა.

დღეს პოსტსაბჭოთა სივრცე ევროპას გადააბარეს, სადაც, ძირითადად, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ინტერესები იკვეთება. საფრანგეთის ინტერესები პირდაპირ სომხეთში იკვეთება, რაც რუსეთს ძალიან აღიზიანებს. ფაქტობრივად, ამერიკა განზე გადგა, საფრანგეთი კი დღეს სომხეთს ღუპავს. როგორც ჩანს, ინგლისსა და საფრანგეთს დიდი ინტერესები აქვთ აზერბაიჯანში. საქართველოსთან მიმართებითაც არაერთი ქვეყნის ინტერესი იკვეთება. ზურაბიშვილიც აქეთ-იქით დადის, ყველას ეპოტინება და ბოლოს ინგლისში ჩავიდა.



ინგლისელებს სამხრეთ კავკასიაში ყოველთვის ჰქონდათ ინტერესები. ისინი, ზოგადად, ხომ კოლონიალისტები არიან, თან ძალიან ეშმაკები. სომხეთში თავისი ინტერესების პარალელურად, საფრანგეთი აფრიკაში გავლენებს კარგავს. არადა, ის აფრიკით სულდგმულობს, საიდანაც ენერგომატარებლებს, ძვირფას წიაღისეულს იღებს.

აქვე ყურადღება მივაქციოთ მაკრონის განცხადებას: არ გამოვრიცხავ, უკრაინაში ნატოს ჯარები გავგზავნოთო. ამ მოსაზრებას მომენტალურად წინ აღუდგა პოლონეთი, ჩეხეთი, შოლცმაც ღია უარი განაცხადა. ვისაც ჭკუა შერჩა, ყველამ თქვა, უკრაინაში ჯარებს არ გავგზავნითო. თუმცა მაკრონის მიმართ მხარდაჭერა ლოიდ ოსტინმა გამოხატა. ლიბერალური სიგიჟეა ის სქემა, რომ უკრაინა არ უნდა დამარცხდეს, ანუ მკვდარი უნდა გაცოცხლდეს. მკვდარს ველარავინ გააცოცხლებს, უკრაინა დასრულდა. უპრეცედენტო სანქციების ფონზე, რუსეთს ორმოცდაათი ქვეყანა ებრძვის და ვერაფერი დააკლეს ვერც ეკონომიკურად, ვერც სამხედრო თვალსაზრისით, ვერც შიდა პოლიტიკური კუთხით. დღეს რაც დედამიწაზე ხდება, ეს არის არმაგედონი.

უკრაინაში ომი დღეს არ დაწყებულა. პროცესი ათი წლის წინ მომწიფდა. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ რუსეთი უკრაინას თავს დაესხა. პროცესებს თვალს ვადევნებდი და ჩემთვის ცხადი იყო, როცა რუსეთი მზად იქნებოდა, აუცილებლად საპასუხო რეაქცია ექნებოდა. მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს ანგლოსაქსების გეგმა, თამაში იყო. ამან დათა თუთაშხია გამახსენა, რომ თქვა: ეს რამ მოაფიქრებინაო. ამერიკელებმა ჩათვალეს, რომ, თუ უკრაინელებს ტვინს კარგად გამოურეცხავდნენ, დააზომბებდნენ, მიზანსაც მიაღწევდნენ. ათი წელი მზადება მიდიოდა. როცა ამბობენ, ომი 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყოო, ეს ასე არ არის. **ეს ომი ანგლოსაქსებმა ათი წლის წინათ დაიწყეს და ძმა ძმას დაუპირისპირეს, რაც გაუგონარი სისასტიკეა.** მათ ჩათვალეს, რომ რუსებს მხოლოდ რუსები, ანუ უკრაინელები დაამარცხებდნენ. სინამდვილეში, ყველაზე მეტად უკრაინელი ხალხის სიკვდილი სწორედ რუსებისთვის არის მტკივნეული.

დავუბრუნდეთ მაკრონის განცხადებას, როგორ ფიქრობთ, ვინ იგულისხმებოდა ნატო-ს ჯარებში? — ფრანგი, ავსტრიელი, გერმანელი ჯარისკაცები უკრაინაში არ შევიდოდნენ. მაშ, ვინ? — აქ საუბარი იყო ისევ სლავების — პოლონელების, ჩეხების, ბულგარელების გაგზავნაზე. უკრაინელების შემდეგ ისევ სლავური წარმოშობის მოსახლეობა უნდა გაწყვეტილიყო. ანუ, ისევ იგივე გენი. დააკვირდით, რამდენად ეშმაკური გეგმაა შემუშავებული სლავების გასაწყვეტად. მათთვის ყველა სლავი რუსია. ამერიკელებისთვის ქართველებიც რუსები ვართ. პოსტსაბჭოთა ადამიანი მისთვის ყველა რუსია. ასე რომ, მაკრონის განცხადება სხვა არაფერია, თუ არა უკრაინელების შემდეგ დანარჩენი სლავების საზარბაზნე ხორცად გამოყენება.

დავაკვირდეთ რა ხდება უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამ ფონზე, ზურაბიშვილისგან ქართულ ეკლესიაზე დარტყმა გასაკვირი არ არის. ქართული ეკლესია გახლიჩეს. რა მოხდა საბერძნეთში? — ბერძნული მართლმადიდებლობა დაეცა, როდესაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა. ზურაბიშვილმა შემთხვევით როდი დაარტყა ეკლესიას ლონდონიდან. მადლობა ღმერთს, აქ ხელისუფლებამ სწრაფი რეაგირება მოახდინა და მალე ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ კანონს მივიღებთ. ეს არის არმაგედონი, ბრძოლა ნორმალურობასა და არანორმალურობას შორის.

აქვე ერთი საყურადღებო რამ მინდა გიამბოთ: სამი კვირა თურქეთში ვიმყოფებოდი. იქ, ეგვიპტელ არაბს ვესაუბრე, ასევე, თურქებს, რომლებმაც ამერიკის მიმართ აბსოლუტურად ნეგატიური დამოკიდებულება, საოცარი ზიზღი გამოხატეს. მესიამოვნა, რომ თურქები ტრადიციულ რელიგიებს ხაზგასმული პატივისცემით იხსენიებენ. არაერთი თურქისგან მოვისმინე, რომ ისლამი და ქრისტიანობა ტრადიციული რელიგიებია. თურქეთში ხალხს მიაჩნია, რომ ჩვენი და მათი ძირითადი ფასეულობები ერთია, მარიამი მათთვისაც წმინდანია. უბრალოდ, მათი რელიგია უფრო ახალია. ანუ პარალელებს ავლებენ, რომ ჩვენი რელიგიები ერთმანეთთან ახლოსაა და ერთურთის პატივისცემა გვმართებს. ამ ადამიანების საუბრიდან მივხვდი, რომ მათი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რომ მართლმადიდებლებთან დაპირისპირებაში არ იყვნენ. მერე აქაურ აზერბაიჯანელთან მქონდა საუბარი და აბსოლუტურად იგივე ტექსტი მოვისმინე: მართლმადიდებლობისა და ისლამის სიახლოვის შესახებ და რომ ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყოფი, პირიქით, ჩვენ საერთო ფასეულობები გვაქვს. მივხვდი, რომ ამ კუთხით გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს. ეს მნიშვნელოვანია — **დღეს შესაძლოა მართლმადიდებელი ეკლესიის მოკავშირე არა კათოლიკური, არამედ ზუსტად მაჰმადიანური მრევლი და მათი წინამძღოლები იყვნენ**. ეს თურქეთში ყოფნისას დავინახე. ამ საკითხზე უნდა ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ: ვინ ვართ, ვინ არის ჩვენი მტერი? — ის, ვინც ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებს გვართმევს. ანუ, ვინც კაცობრიობის გამრავლების, გენის გაგრძელების წინააღმდეგი და მკვლელია. ზურაბიშვილიც მიხვდა, რომ ეს თემა ევროპაში შეიძლება კარგ ფასად გაიყიდოს და პატრიარქს დაარტყა. იგი ყველაფრის გაყიდვას იკადრებს, ოღონდ მისი ხელიდან გაყიდულს ყველაფერს ძალიან დაბალი ფასი აქვს. ქართველ ხალხს ცოტა მეტი სიმკაცრე მართებს. ეს ყველაფრის გამყიდველი ქალი პრეზიდენტის სასახლეში ფეხის შედგმასაც ვერ უნდა ბედავდეს. ერთია, როცა კონტრაბანდას, **მოპარულ ნივთს ყიდი და მეორეა, როცა სერტიფიკატი აქვს იმას, რასაც ყიდი. სალომე მოპარულს ყიდის**. ამ ფონზე ძალიან გამიხარდა ხელისუფლების სწრაფი რეაგირება, რომელმაც სერიოზული საფრთხე დაინახა.

უჩვეულო სიმშვიდეა ამერიკის საელჩოში. აშკარაა, „დიღმის საოლქო კომიტეტში“ ახალი მზაკვრობა მზადდება. თურმე მოსამართლეები ელჩებმა უნდა დაგვინიშნონ. ამერიკელებმა უნდა გააკონტროლონ ჩვენი მოსამართლეები, რომელთაც თავისი სამართალი ვერ გაურკვევიათ. რაზე ვლაპარაკობთ, როცა ტრამპმა გაიმარჯვა და პრეზიდენტი ბაიდენია. 400-500 წელს რომ მიუსჯი ადამიანს, ამის მერე რა დემოკრატიაზე უნდა მელაპარაკო?! ან ინდაურს რომ შეიწყალებ, დეგენერატი არ ხარ?! ამ ხალხის ჭკუის დასარიგებელი არაფერი გვჭირს.

**— ქალბატონო მაია, ოპოზიცია და პრეზიდენტი ორ ხმაში მმართველობის პოლონური მოდელის შემოღებაზე ალაპარაკდნენ.**

— ამ ხალხს უჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ პარლამენტში ველარ მოხვდებიან და ვერც პოლიტიკურ ცხოვრებას გააგრძელებენ. ამიტომ ხან რას იგონებენ და ხან — რას. ოპოზიციას, საქართველოს ნგრევაზეა ორიენტირებული. მადლობა ღმერთს, სუს-ი აქტიურია და ქვეყანა ბევრ ხიფათსაც აარიდა. ფაქტია, ჩვენი უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურს ამერიკის საელჩო აღარ განაგებს. ადრე ენჯეობის სიტყვას ფასი ჰქონდა, ახლა კი ეს ორგანიზაციები საქართველოს წინააღმდეგ საბოტაჟს, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან. პროკურატურა კი ამ ყველაფერზე დუმს. მაგალითად, ჩატარდა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზა, სადაც უამრავი სიცრუე გამოვლინდა. ეს იყო სიმულაცია. ექიმებმა, ექსპერტებმა სასამართლოში ყალბი ჩვენებები მისცეს მიშას დემენციასთან, მოწამვლასა და წამებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა ფიცი დადეს და მერე ყალბი ჩვენება მისცეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

მიშას დაქირავებული ექსპერტები მიზანმიმართულად ცრუობდნენ — ერთმა პოლონელმა ექიმმა ნივთმტკიცების მოპარვა სცადა, ადგილი ჰქონდა მის გაყალბებასაც — უცხოეთში გაიგზავნა ნივთმტკიცება, რომელიც მარკირებული არ იყო. „ემპათიამ“ სააკაშვილს ოცზე მეტი დაავადება „აღმოუჩინა“. რატომ დუმს პროკურატურა ყალბ ჩვენებებზე, ნივთმტკიცებების გაყალბებაზე, მოპარვაზე?! ყალბი ჩვენება და დასკვნის გაცემა მიზანმიმართული დანაშაულია. „ემპათიაზე“, ამერიკელ ექსპერტებზე, პოლონელ ექიმებზე, წესით, საქმე უნდა აღიძრას.

**თამარ შველიძე**



# „რუსეთუმეები“



დღევანდელი მოცემულობა ასეთია, თუ ბოლო ხმაზე არ გაჰკივი, რომ რუსეთი ოკუპანტია, სლავა უკრაინე, უპირობოდ ვენაცვალე კონკრეტულად ევროკავშირსა და ვეხუტუნე აშშ-ს, „რუსეთუმე“ ხარ!

რას ნიშნავს „რუსეთუმეს“ იარლიყის მიკვრა, იმას, რომ აზროვნებ და ლოგიკურად იმ დასკვნამდე მიდიხარ, რაც ვიღაც(ებ)ის მიერ დადგენილ შაბლონს მკვეთრად აცილებულია?

კი, ბატონო, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ დღეს არ გამხდარა ოკუპანტი, ოკუპანტი იყო მაშინაც, როცა სააკაშვილი ლარსის გამშვებ პუნქტთან ყვავილებით ხვდებოდა რუს ტურისტებს. რაც რუსეთი ნატო-ს ებრძვის უკრაინის ტერიტორიაზე, მას შემდეგ უფრო გაოკუპანტდა საქართველოში თუ რანაირად არის ოკუპანტობის განახლებული ამბავი?

2022 წლის გვიანი შემოდგომა იყო, როდესაც გაზეთის ფურცლებიდან ვიკითხე, რას ნიშნავდა ფეხბურთის მატჩზე მისული ვიქტორ ორბანის კაშნე, რის გამოც სასწრაფოდ დაიბარეს საგარეო საქმეთა სამინისტროში უნგრეთის ელჩი, მაგრამ რიტორიკულად კი არა, საერთოდ რატომ ვიკითხე, „რა კაშნე ამიტყდა“, ვფიქრობ, ძალზე ცოტამ გაიგო. ვინც მაშინ ჩემი ახსნის მიუხედავად, ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები, ვერც ახლა მიხვდება, ამიტომ თავიდან აღარ განვმარტავ;

ეჭვის საფუძველი მაქვს-მეთქი ვამბობდი და ვურთავდი უნგრეთის დეპუტატმა ლასლო ტოროცკიმ პოლონეთს დამოუკიდებლობის დღე საკმაოდ უცნაურად რომ მიულოცა: „დღეს პოლონეთის დამოუკიდებლობის დღეა. ღმერთმა დალოცოს პოლონეთი! მომავალ შეხვედრამდე უნგრეთ-პოლონეთის საზღვარზე!“

ან, პოლონელებმა რატომ გამოფინეს იმავე 2022 წლის 11 ნოემბერს თავიანთი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მსვლელობისას პლაკატი, სადაც ეწერა: „ლვოვის გარეშე არ არის პოლონეთი!“

ანდა, ანჯეი დუდა რატომ გაეხვია საერთაშორისო სკანდალში, როცა რუსმა ე. წ. პრანკერებმა მაკრონის სახელით დაურეკეს და 8 წუთი ესაუბრებოდა ერთი მათგანი ემანუილ მაკრონის სახელით...

ახლა განაცხადა პოლონეთის პრემიერმა, უკრაინასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტისა და უკრაინა-პოლონეთის საზღვრის დროებით დახურვასთან დაკავშირებითო და ჩიტი რომ აფრენაზე იყო და ბარემ ხელიც აუქნიეს, მთლად ასე გამოეწყო საქმე — ასე ჩანს, თუ ცივი გონებით გაიაზრებს კაცი, რა უნდა პოლონეთს უკრაინისგან და რა არ უნდა...

ორიოდე დღის წინათ დნესტრისპირეთის მთავრობამ ოფიციალურად მიმართა რუსეთს, რომ მოლდოვადან მომდინარე საფრთხეების გამო, სურს, რუსეთს შეუერთდეს. ცოტა არ იყოს, ნაცნობ სიტუაციას ჰგავს... ეს ის მხარეა, რომელიც ისედაც რუსეთის გამოხატული მხარდამჭერია და რატომ ეტყვის უარს, არ მინდიხართო? დამფრთხალი მოლდოვა რუმინეთს მიმართავს დასახმარებლად, რუმინეთი კი ნატო-ს წევრი ქვეყანაა.

ომისა და სამხედრო ხელოვნებაში აბსოლუტურად ჩაუხედავი ხალხი ვხედავთ თვალნათლივ, რომ რუსეთს ნატო ეომება, მაგრამ ძვრას ვერ უშვერება და თვით რუსეთი ვერ ხედავს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ნატო-ს ფაფხურს, რომელის ფაქტობრივ თავკაცს, აშშ-ს, ისრაელი გაუხდა თავში სახლელად დასაცავი?

ვნახოთ, წინ აშკარად გველოდება ახალი გადანაწილება და რუმინეთმა თუ დაიწყო, ამავდროულად, ნატო, მიშველეო, გზააბნეული ბაიდენის ადმინისტრაცია თუ გონივრულად არ მოიქცა, ფლორიდასთან ჩაძირულმა წყალქვეშა ნავმა (თუ გემმა) ეგებ, გაიღვიძოს კიდეც...

ყოველ შემთხვევაში, დნესტრისპირეთის რუსეთთან შეერთება ოდესის ოლქის გარეშე ვერ მოხდება და როდესაც რუსეთში უკვე კარსმიმდგარი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაივლის, რუსეთის პრეზიდენტად ისევ ვლადიმერ პუტინი მოგვევლინება, მას შემდეგ დავინახავთ, მოვისმენთ და გავიგებთ რა მოხდება, თუმცა, არც ახლაა ძნელი გამოსაცნობი...

ბალტიისპირელი ევრო- და ყველანაირკავშირელები სრულიად ევროპას რომ ამუნათებენ, თუ ახლა უკრაინამ წააგო ომი, ევროპისკენ გამოიწევს რუსეთიო, რეალურად, საკუთარ თავზე საუბრობენ, თორემ რუსეთი რომ პოლონეთის გავლით ლისაბონამდე ჩასვლას არ აპირებს, ძალიან კარგად იცის ყველამ...

ისინი, ყველანი თავის დასაკლავ დანას თვითონვე დაეძებენ და ჩვენ რას ვშვრებით ამ დროს, ჩვენ?

გამობრძანდა ბატონი სოზარ სუბარი და განაცხადა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უფრო დიდი ეროვნული ამოცანა არ გვაქვს და ვერ წარმოვიდგენთ ქვეყანას, რომელსაც ამ მხრივ შეიძლება უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეეძლოს, ვიდრე ჩინეთიაო.

საკვირველი ამბავია, ჩინეთს თავისი ტაივანისთვის ვერ მიუხედია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რაში აინტერესებს? რატომღაც არ მახსენდება, ჩინეთს ან აფხაზეთის გამო დაესველებინა სიტყვა, ან სამაჩაბლოს გამო და რა გავლენის მომხდენია, რუსეთს დატუქსავს, ჩქარა დაუბრუნე ოკუპირებული ტერიტორიებიო საქართველოსო, თუ გზატკეცილად გადაქცეული დერეფანი, იგივე „აბრეშუმის გზა“ თავისთავად დააბრუნებს განთესილ ტერიტორიებს?

ცოტა გადაჭარბებულად გააბრაზა ფაშინიანის სომხეთმა რუსეთი და რაც მოხდა, ვნახეთ — ერთი ხელისმოსმით გადაიჭრა ყარაბაღის ე. წ. პრობლემა, მაგრამ ვთქვათ, კიდევ უფრო გააბრაზა, რისი კონტურებიც იკვეთება, მერე რას ვშვრებით ჩვენ გაჭირვებულები? მე სხვა სახმელეთო გზა არ ვიცი, გარდა საქართველოსი, რომ რუსეთი სომხეთთან დაკავშირდეს. მით უმეტეს, რომ აგერ, თბილისიდან 40 კმ-ში გვიდგას რუსის ჯარი და ახლომახლოდანაც წამოეშველებიან. რაო, ჩინეთი ეტყვის, იქ ჩემი აბრეშუმის გზა გადის, არ გაგატარებთ, ირანიდან შემოუარეთო? ამ დროს რას ვშვრებით, რის ყვირილს ვიწყებთ, ვის მივმართავთ, არიქა, გვიშველეთო, მით უმეტეს, თუ რუსმა გითხრა, შენ არ მაინტერესებ, ჩიტო, მხოლოდ გამატარეო? რომც გამოიდოს თავი, არარსებულმა კეთილისმსურველმა ქვეყანამ, საქართველოს ადგილზე რომ რამდენიმე ორმოღა დარჩება რუკაზე წარწერით: „აქ იყო საქართველო“. ამას დიდი განსწავლულობა სჭირდება?

ცხონებულ მერაბ ჯიბლაძესთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. მან მიამბო: „1983 წელს ლექციების სპეცკურსის წასაკითხად ჩემი მეგობარი, ქიმიური ლაზერების დარგში გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი როლფ გროსი მოვიწვიე. იგი მრავალჯერ იყო ნამყოფი საქართველოში და იმდენად კარგად იყო განწყობილი ჩვენ მიმართ, რომ თვენახევარი გამონახა ჩვენთან დასარჩენად. ერთხელ მან მითხრა: თქვენ რუსების კი არა, ამერიკელების უნდა გეშინოდეთო. გამიკვირდა, ამერიკა ცხრა მთას იქით არის რა და როგორ უნდა დაგვიშავოს-მეთქი?

— მე ვიცი ამერიკელების სტრატეგიული ინტერესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სტრატეგიული გეგმა, რომლის თანახმადაც, რუსეთის გვერდით უნდა შექმნილიყო ზესახელმწიფო, რომელიც რუსეთს დაუპირისპირდებოდა. ჩვენ 7 თუ 8 მლრდ დავხარჯეთ და ჩინეთში „კულტურული რევოლუცია“ მოვაწყვეთ. 60-იან წლებში ჩინეთი რუსეთს დაუპირისპირდა და ცეცხლიც გაიხსნა, მაგრამ ახალი მთავრობა რომ მოვიდა, მან რუსეთთან დაპირისპირებაზე უარი თქვა.

70-იან წლებში ჩვენი ყურადღება ირანზე იყო გადატანილი. მრავალი მილიარდის ფასად ირანის შაჰი მოვისყიდეთ და „დემოკრატიის ჩანერგვა“ დავიწყეთ, მაგრამ ფუნდამენტალისტებმა შაჰი გამოაძევეს და მიზანს ვერ მივაღწიეთ.

ახლა ჩვენი ბოლო და ერთადერთი იმედი თურქეთია, მაგრამ ის ღარიბი ქვეყანაა იმისთვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს, ამიტომ მას ყოველწლიურად 30 მლრდ დოლარს ვჩუქნით, რათა მომძლავრდეს და ნატო-ს საკადრისი ჯარი შექმნას. ამ ფულს ვითომ ამერიკელი მუსლიმანები აგროვებენ საჩუქრად. ჩვენ მართლაც შევქმენით ისეთი ჯარი, რომელიც ერთადერთია მუსლიმანურ სამყაროში, რომელიც ბრძანებაზე თავისივე ხალხს ესვრის! მაგრამ იმისათვის, რომ ზესახელმწიფო გახდეს, მას უნდა ჰქონდეს კასპიის ზღვის ბასეინის ნავთობი და ტერიტორია, რომელიც რუსეთის უშუალო მეზობელია. ამიტომ მან უნდა დაიკავოს ყირიმიდან დაწყებული მთელი კავკასია და შუა აზიის ორი თურქულენოვანი რესპუბლიკა.“

გადის წლები და როგორც ვხედავთ, ეს სტრატეგიული ინტერესი ძალაში რჩება.

სწორედ ამიტომ იყო თურქეთის ახლანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ასეთი ინტერესი; ამიტომ იყო, თურქეთის ძალოვანი მინისტრები პირდაპირ რომ ადანაშაულებდნენ აშშ-ის ელჩს თურქეთისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობაში; ამიტომ იყო, ერდოღანმა რომ პირდაპირ დაადო ხელი ცხრა ევროპელ ელჩს და მათი გაძევება მოითხოვა; ამიტომ იყო, კიდევ ბევრი რამ და რა უხაროდათ ამ დროს საქართველოში საქართველოს დამაქცევრებს, რა თქმა უნდა, თუ ერდოღანის მოწინააღმდეგე — ამერიკელების კაცი გაიმარჯვებდა, ძნელი მისახვედრია?!

სტუდენტთა „განმანათლებელი“ მიშა მშვილდაძე ამიტომ გოდებდა: „თურქეთში გაგვედო ბაირამ დუდუკში ხუთი წლით — ლიბერალები დავმარცხდით, მარა ხუთ წელიწადს ან გაძლებს ასეთი მორყეული ერდოღანი, ან — ვერა. ფაქტი ისაა, რომ მეორე ტურმა საკმაოდ შეარყია „ერდოს“ ძალაუფლება და ქილიჩადროღლუ არაა ერთადერთი პოლიტიკოსი ოპოზიცის მხარეს, იქ კიდევ არიან ამბიციური ადამიანები, რომლებიც იბრძოლებენ თურქეთის ვესტერნიზაციისთვის. ჩვენ ჩვენი ბრძოლა გვაქვს მოსაგები აქა და თურქეთი ვერასოდეს გახდება რეგიონის ვესტერნიზაციის ბაირახტარი სანამ საქართველო ვართ აქა და სომხეთი, რომელიმე ყოველთვის უფრო წინ ვიქნებით ექსპერიმენტალიზმში — ჩემი აზრით, ოღონდ, მეც გეოპოლიტიკურ ოპტიმიზმზე ვარ შემჯდარი.“

ის ამერიკა, რომელსაც დღეს „ხალხის ძალა“ ედავება, არათანასწორად გვთვლითო, საბჭოთა კავშირის დაშლით იყო დაინტერესებული და როგორც ამ კავშირში შემავალი რესპუბლიკა, საქართველოს არსებობა აქედან გაიგო, თორემ ორ ზღვას შუა მოქცეული პატარა ქვეყანა ვის გახსენებია, მართლა მხოლოდ დერეფანს რომ ჰგავს კოსმოსიდან.

რა გასაკვირია რომ აშშ საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის და უანგაროდ არავის დაეხმარება? რაში ენაღვლება სუპერსახელმწიფო აშშ-ს მისთვის ვიღაც/რაღაც მოცუცქნული საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება, როცა არანაირი ინტერესთა თანხვედრა არ აქვთ? პირიქით, საქართველოს ეროვნული ინტერესები კატეგორიულად ეწინააღმდეგება აშშ-ის ინტერესებს. კარგია, რომ ბოლო-ბოლო, ვიღაცამ ამოიღო ხმა და თქვა ის, რაც აქამდეც უნდა ეთქვა ვინმეს, რათა გაეგო აშშ-ს, რომ ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერი ვიცით...

აშშ ყოველთვის ასეთი იყო საქართველოს მიმართ, იმ დასაწყისიდანვე, 90-იანი წლებიდან, როცა ამერიკის საელჩოს ატაშემ, ჰაჩისონმა გვითხრა: „თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოსო“ და როდესაც გაიკვირვეს განათლების სამინისტროს ქართველმა პროფესორებმა, აქ ხომ ოპერაციები კეთდება, ექიმები არ გვჭირდებაო? მიუგო, „როგორ შეიძლება თქვენთან ოპერაციების ჩატარება! თქვენთან მხოლოდ პროფილაქტიკური აცრები უნდა ჩატარდესო“... როდესაც ამას საელჩოს ატაშე ბრძანებს, ის ამ დროს საელჩოსა და იმ ქვეყნის პოზიციაა, რომელსაც თვითონ წარმოადგენს!

ან ევროპისგან რა უკვირთ, როდესაც საფრანგეთის ელჩმა ფასიემ იკითხა: რად გინდათ განათლება, თქვენ ხომ თეთრკანიანი ზანგები ხართო?

აი, ასეთი ვითარება გვქონდა. ახლა თითქოს ცოტა რაღაც შეიცვალა, მაგრამ ძირითადი ვითარება ჩრდილოელ მეზობელთან არ შეცვლილა და რა ვქნათ, მგლების ქვეყანა (გურჯისტან!) მგელს შევეჭმევინოთ თუ მგლისფერ ძაღლს?

დღევანდელი ხელისუფლება არც პრორუსულია, არც პროევროპული და არც არანაირი „პრო“, ყველაზე მეტად ქართულია მათ შორის, რაც აქამდე ყოფილა. „ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია იმას, რომ გაუძლო საერთაშორისო ზეწოლას, არ გადადგა საქართველოსთვის საბედისწერო ნაბიჯები და იქნებ, ვაცადოთ პოლიტიკაში კონკრეტული მიზნებით კიდევ ერთხელ შემობრუნებულ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მიზანთაგან უმთავრესს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიღწიოს!

**ზურა ოქრეშიძე**

# ვიცით, რითაც მთავრდება

**გოგა ხაინდრავა, კინორეჟისორი**: მთავრობის ინიციატივას მივესალმები. ფსევდოლიბერალური იდეოლოგია კაცობრიობის დაღუპვას არათუ ქადაგებს, კიდეც მოასწავებს. ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება — ეს არის გზა კაცობრიობის განადგურებისკენ. მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მოქმედებს საკანონმდებლო მუხლი, რომელიც ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. კაცობრიობის თვითმკვლელობამდე მიყვანა ვინმეს უფრო მსუბუქი დანაშაული ჰგონია?!

დიახ, ერთსქესიანთა ქორწინების და, მით უმეტეს, მათ მიერ ბავშვის შვილად აყვანის დაკანონება, კაცობრიობას მოსპობით ემუქრება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს აბსოლუტურად ანტიადამიანური აქტია. ადამიანი შეიქმნა როგორც კაცი და ქალი, სხვა სქესი ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს. ადრე ადამიანი ღმერთს ხშირად უპირისპირდებოდა.

სხვა საკითხია პათოლოგიები, რითაც ადამიანები იბადებიან. მაგალითად, ზოგი ორი თავით იბადება, ზოგი სამი ხელით და ა. შ. ასეთ პათოლოგიებს მედიცინა მრავლად იცნობს. მაგრამ ხომ არ ნიშნავს, რომ ეს გადახრები უნდა დავაკანონოთ და ადამიანებს მეორე თავი გადავუნერგოთ. სიამის ტყუპებიც იბადებიან ხოლმე. რა ვქნათ, ადამიანები ერთმანეთს მივაკეროთ?!

ასე რომ, ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას და ერთსქესიანთა ქორწინებას ადამიანის უფლებებთან კავშირი არ აქვს. ეს არის პათოლოგია, რომლის დამკვიდრებას ე. წ. გადაგვარებული პოლიტკოსები ცდილობენ. განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მსოფლიოს პატრონები არიან. ყველამ ვიცით, რითი მთავრდება ღმერთთან დაპირისპირება. ამის უტყუარ ფაქტად ის წარღვნაც საკმარისია. ამ გადაგვარებულების სიმბოლო — ცისარტყელა, სინამდვილეში, იყო ნიშანი, რომელიც ღმერთმა ადამიანს შერიგების ნიშნად გამოუგზავნა მას შემდეგ, რაც გადაგვარებული კაცობრიობა წარღვნით წალეკა.

სოდომი და გომორი ღმერთმა დასაჯა, რადგან იქ ადამიანებმა სახე დაკარგეს და უფალს ბრძოლა გაუმართეს. ხშირად სიმბოლოებს აბსოლუტურად საპირისპირო სახით იყენებენ. ამიტომ, კანონპროექტის მიღება, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან დაიცავს, ვფიქრობ, დაგვიანებულიც კი არის. ჩვენ სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, დავიცვათ ჩვენი იდენტობა, ფასეულობები, სარწმუნოება. ერთადერთი, რამაც საქართველო გადაარჩინა, უფლის ერთგულებაა. დღემდე ამ მიმართულებით ყველაზე ერთგულად საბერძნეთის ეკლესია მიიჩნეოდა. და რა გააკეთეს ბერძნებმა? — ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს. მეტიც, ასეთ „წყვილებს“ ბავშვის აყვანის უფლება დართეს. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ბავშვების სიცოცხლე არავის ადარდებს. ასეთი ძალადობა ბავშვზე ისტორიას არ ახსოვს, სრული კოშმარია. ვინც ამას აკეთებს, მკვლელობაზე არანაკლებ მძიმე დანაშაულს სჩადის. ბავშვს არავინ ეკითხება აზრს: უნდა თუ არა, რომ წვერებიანი დედა ჰყავდეს?!

ასევე დანაშაულია ის, რაც ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტრომ გააკეთა — როგორ შეიძლება იმ კაცის მკერდში არსებული სითხე, რომელიც ქალის ჰორმონებს იღებს, დედის რძესთან იყოს გათანაბრებული. ეს ხომ დანაშაულია. მსოფლიო გადაგვარდა. ფსევდოლობერალური იდეოლოგიის პროპაგანდა რომ არ უნდა ხდებოდეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ვისაც ამის მცდელობა აქვს, ვერც გაუაზრებიათ, საქართველოში რა წინააღმდეგობას შეხვდებიან. აქ უკვე საკანონმდებლოზე კი არა, საზოგადოებრივ დონეზე იქნება ლაპარაკი. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ამის იმედი ნურც აშშ-ის ადმინისტრაციას ექნება, რომლის ლიდერმა ბაიდენმა თავის თანამშრომლებს უბრძანა, სიტყვები — დედა და მამა აღარ გამოიყენოთო. ამ სიბილწეს, გადაგვარებას ქართველი კაცი არ დაუშვებს. პირველ რიგში, ვაფრთხილებ ამ ფსევდოპოლიტიკოსებს, სულგაყიდულ არამზადებს: ამ კანონპროექტს არ შეეწინააღმდეგონ, თორემ შედეგები უმძიმესი იქნება.

**ელიზბარ გვენეტაძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი**: ამ კანონპროექტზე მუშაობის დაწყება მართებულზე მართებულად მიმაჩნია. მოგეხსენებათ, მსოფლიოში დაწყებულია წარმოუდგენელი პროცესი, რასაც გაუკუღმართებული, არაქრისტიანული, არაადამიანური ცხოვრების წესის გაფეტიშება, რიგ ქვეყნებში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, ბავშვებში ლგბტ პროპაგანდა ჰქვია. ამდენად, საქართველოსთვის კანონის მიღება, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან დაიცავს, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რასაც ორივე ხელით მივესალმები.

დიდი სიამოვნებით ჩავერთვები კანონპროექტის განხილვაში, ერთადერთი მიზნით, რათა ქვეყანაში ქრისტიანული ცხოვრების წესი შევინარჩუნოთ. არავინ არავის არაფერს უშლის. ჰომოსექსუალები კაცობრიობის გაჩენისთანავე არსებობდნენ, მაგრამ მათი პრიორიტეტად წარმოჩენა, გაფეტიშება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ყოფილმა პრემიერმა არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ოჯახი ქალისა და კაცის კავშირია. ამაზე ოპონენტები ღლიცინებენ. უფრო სწორად, გარედან დაფინანსებული თანხები იძულებულს ხდიან, იღლიცინონ. ამას ფულის სიყვარულის გამო აკეთებენ.

იცით, რომ საქართველოში ამ ე. წ. ენჯეოებზე, ლიბერალებზე, გამყიდველებზე, გაუკუღმართებული ცხოვრების წესის დამკვიდრების მომხრეებზე, ყოველწლიურად გარედან 400 მილიონი დოლარი შემოდის. ამიტომ ისინი ყველაფერს იკადრებენ. მეტიც, ამათ ოღონდ ფული მიეცი და ინცესტის დამკვიდრებაზეც დაიწყებენ ლაპარაკს. ასე რომ, ასეთ კანონს მხოლოდ მივესალმები და ვისურვებ, დროულად შევიდეს ძალაში.

**მირიან ყარაულაშვილი, სააგენტო „იქს-ნიუსის“ თანადამფუძნებელი:** რა თქმა უნდა, აღნიშნული კანონის მიღება დადებითი მოვლენა იქნება. საზოგადოება უნდა შეთანხმდეს, რომ მსგავსი საზიზღრობა საქართველოში არ დაინერგოს. კანონპროექტი უნდა მომზადდეს, ოღონდ საზოგადოების კონსენსუსის მიღწევის საფუძველზე.

თუმცა, სოცქსელებს რომ ვაკვირდები, რა კომენტარებს წერენ ამ თემაზე, მათთან კონსენსუსი გამორიცხულია. კი ბატონო, ვიზიარებ ხელისუფლების პოზიციას — რაც უნდა რუსული, ფრანგული, თურქული ან პაპუასური დაარქვან, ეს კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ. მდინარაძემ აღნიშნა, შემოგვიერთდით ამ ინიციატივაშიო. აგერ, „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ხმამაღლა ვამბობ: მზად ვარ, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრებები გამოვთქვა. თუ საჭიროა, წერილობითი ფორმითაც მივაწოდებ ხელისუფლებას.

რატომღაც ჩემი თაობის ადამიანების რესურსს არც დღევანდელი ხელისუფლება იყენებს და წინა ხომ, საერთოდ, „ჩარეცხილებს“ გვეძახდა. არ ვართ, ბატონო, ჩარეცხილები, ჯერ ისევ ვტივტივებთ, კარგი გაგებით, ცოცხლები ვართ, გამოცდილებაც საკმარისი გვაქვს და თუ გამოიყენებთ ამას, ჩვენ მზად ვართ. ხელისუფლებას ვეთანხმები, რომ ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდა უნდა შეიზღუდოს. მგონია, რომ ზოგადად, კანონით უნდა განისაზღვროს, რა ითვლება პროპაგანდად, აგიტაციად, აზრის გამოხატვის თავისუფლებად და ა. შ. მერე ყველაფერი დალაგდება. ყველაზე სწორად ეს აშშ-ის კონსტიტუციაშია განსაზღვრული. ამერიკის კონსტიტუციას ახლა საქართველოში კი არა, ბაიდენი და კამალა ჰარისი არ იცავენ.

**შოთა გლურჯიძე, მხატვარი**: სხვათა შორის, ეს კანონპროექტი პარლამენტში განსა-




## „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის განცხადება

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები მაღალ დონეზე, განურჩევლად ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების წესისა. ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი და ყველანი ვთანხმდებით პრინციპზე, რომ არავის და მით უმეტეს, ხელისუფლების საქმე არ არის ვინმეს განსჯა. ჩვენი ხელისუფლების მონაპოვარია ადამიანის, მათ შორის, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა. სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ აღმოფხვრა ასეთ ადამიანებზე ზეწოლის, მათი შანტაჟის, პირადი ცხოვრების ხელყოფის უხეში პრაქტიკა, რომელიც წინა ხელისუფლების გამორჩეული ხელწერა იყო. ქართული საზოგადოება ყოველთვის იყო ტოლერანტული, თუმცა, ქართული საზოგადოება არ არის და ვერ იქნება ტოლერანტული ფსევდოლიბერალური პროპაგანდის მიმართ. ვხედავთ მძიმე ტენდენციებს მსოფლიო მასშტაბით ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელების კუთხით. ეს პროპაგანდა სულ უფრო უხეშ ფორმებს იძენს. რაც მთავარია, პროპაგანდას აქვს მძიმე შედეგები. საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით აქტიურად ვრცელდება ფსევდოლიბერალური იდეოლოგია, 18-25 წლის ახალგაზრდებს შორის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების რაოდენობა უკვე დაახლოებით 20 პროცენტს, ზოგან კი მეტსაც შეადგენს. შემაშფოთებელია, რომ ეს მაჩვენებელი 7 წელიწადში 3-ჯერ გაიზარდა, ზრდა კი ზუსტად ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ეს პროპაგანდა ამ მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა.**

**2017 წელს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება შევზღუდეთ და საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ ჩავწერეთ, რომ ქორწინება, ეს არის ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. ამის მიუხედავად, შეიძლება აღმოვჩნდეთ რეალობის წინაშე, როდესაც მოგვთხოვენ ე.წ. „სამოქალაქო პარტნიორობის“ დაკანონებას. ჩვენ უკვე გვქონდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც უცხოელების მხრიდან ადგილი ჰქონდა ტერმინოლოგია „ქალისა და მამაკაცის და გენდერული თანასწორობის“ შემოღების მოთხოვნას და ჩვენ ამის უარსაყოფად საკმაოდ სერიოზული ბრძოლის გადატანა მოგვიხდა (ამის ჩაწერა ნიშნავდა, რომ მდედრობითისა და მამრობითის გარდა, სხვა სქესიც უნდა გვეღიარებინა) დღეს მსოფლიოში ფსევდოლიბერალები ილაშქრებენ ისეთი ტერმინების წინააღმდეგ, როგორიცაა**

# ღმერთთან დაპირისპირება

ხილველად ადამიანების ჯგუფმა დიდი ხნის წინათ შეიტანა, თუმცა მაშინ ხელისუფლებამ ოპოზიცია დაამშვიდა, რომ ამ კანონს არ მიიღებდნენ, მეტიც, არც კი განიხილავდნენ. რა თქმა უნდა, მე ამ კანონპროექტის შექმნასა და განხილვას მივესალმები.

იმედია, ეს საარჩევნო ტრიუკი არ არის. თუ „ქართული ოცნება“ ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელების, პროპაგანდის ამკრძალავ კანონს მიიღებს, მოხარული ვიქნები. ასევე, მივესალმები, ამასთან ერთად თუ გააუქმებენ ნარკოტიკების ლეგალიზაციას, აკრძალავენ გემბლინგს და მევახშეობას. ბევრი რამ არის გამოსასწორებელი. ვნახოთ, რა მოხდება.

**ლევან მამალაძე, „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი**: ხელისუფლებას ჯერ არ დაუკონკრეტებია, რას მოიცავს ეს ინიციატივა, მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: ჩვენ კანდიდატის სტატუსი მივიღეთ და ევროპისკენ მივისწრაფვით. თუმცა ევროპას აქვს თავისი მოთხოვნები, მათგან ზოგი ღიად არის გაცხადებული, მაგალითად, ცხრა დათქმის შესრულება. ასევე არსებობს მოთხოვნები, რაც ღიად არ არის გაცხადებული, მაგრამ ჩვენი ტიპის ქვეყნებს პირდაპირ უყენებენ. ერთ-ერთი მოთხოვნა ნეოლიბერალიზმის დამკვიდრებაა, მათ შორის, ლგბტ საზოგადოებისთვის დამატებითი უფლებების გაზრდა. ჩვენისთანა ქვეყნებისთვის, რომელთაც ევროკავშირში გაწევრიანება სურთ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად, უკრაინამ მიიღო მსგავსი კანონი.

იქ, ფაქტობრივად, ტრადიციული, რელიგიური საფუძვლები მთლიანად მოშლილია. ასეთივე მოთხოვნებს გვიყენებენ ჩვენც და სხვა კანდიდატ ქვეყნებსაც. აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი — ყველა მოთხოვნა, რასაც ევროკავშირი გვიყენებს, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისა და ეთნიკური, რელიგიური თუ ისტორიული საფუძვლების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად გააჯანსაღებს ეს ჩვენს საზოგადოებას, ისეთი კანონმდებლობა უნდა მივიღოთ, რაც ყველა დეტალს დაარეგულირებს. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: იმის წინააღმდეგი კი არ უნდა ვიყოთ, რომ კონკრეტულ ჯგუფებს გარკვეული უფლებები ჰქონდეთ, არამედ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს უფლებები ჩვენი ძირითადი საზოგადოების ფუძემდებლური საფუძვლების მოშლისკენ მიმართული არ იყოს.




ჩვენ თუ ლგბტ საზოგადოების პროპაგანდას დავუშვებთ, გამოდის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას, ბავშვებს სხვა არჩევანს არ ვუტოვებთ. ასე მათი უფლებები ირღვევა. მე პირიქით, მხარს ვუჭერ, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს. ანუ, ლგბტ-ს არც პროპაგანდის საშუალება ჰქონდეს და არც ვინმეს უფლებები შეიზღუდოს. ნეოლიბერალები მულტისქესობრივი საზოგადოების შექმნისკენ ილტვიან. რას ნიშნავს ნომერი პირველი და ნომერი მეორე მშობელი?! საზოგადოებაზე ექსპერიმენტები ვატაროთ?!

სექსუალური უმცირესობები ისედაც ყველაფერს აკეთებენ, რაც სურთ, მაგრამ ეს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებად არ უნდა იქცეს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ რაღაც უნდა ავკრძალოთ, მაგრამ ეს რომ წესად შემოვიღოთ და სხვა, ჩვენი ტრადიციული საფუძვლები ამის გამო შევასუსტოთ, მოვშალოთ, ამის უფლება არ გვაქვს.

**რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი**: ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან საზოგადოების დაცვის მიზნით კანონის მიღება, ამ შემთხვევაში, ნომერ პირველი ამოცანა არ არის. ნომერ პირველი ამოცანაა, ქვეყნის მენტალური თავისთავადობის, იდენტობის და ძირითადი კულტურული ტრადიციების დაცვა, რითაც საქართველო დღემდე მოვიდა. ეს თუ მოიშალა, გამოვა, რომ ევროპას ამ მოშლილი ფასეულობებისა და მორღვეული იდენტობის ფონზე უერთდები. ოღონდ, ვინ უერთდება?! ყველას გვახსოვს ჟვანიას ფრაზა: მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი. ამ შემთხვევაში, „მე ქართველი ვარ“ — ამის მნიშვნელობა იკარგება. აქედან გამომდინარე, მერე იმის ძახილი, ევროპელი ვარო, აზრს კარგავს. ფაქტობრივად, გაევროპელების გზაზე ახლა დაახლოებით ისეთივე ბარიერია ამოტივტივებული, როგორიც, თავის დროზე, საბჭოთა პერიოდში იყო.

საბჭოთა პერიოდში სსრკ-ის იდეოლოგიის ღერძი ის იყო, რომ მას ახალი საბჭოთა ადამიანი უნდა შეექმნა, რომლისთვისაც ცალკე ერები აღარ იარსებებდა. მარქსის ჰიპოთეზა კომუნისტებმა პირდაპირ რეალობად დასახეს. ამ ფონზე ბევრი რამ მოხდა. კერძოდ, სოციალ-დემოკრატები პატრიოტული სულისკვეთების მატარებლებს დაუპირისპირდნენ.

ასეთი დაპირისპირების შედეგად მოკლეს ილია. როცა მას ასაფლავებდნენ, აკაკიმ თქვა, თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნები, მაგრამ თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი, შენ, რომ ამას ვეღარ მოესწარ და თვალით ვეღარა ნახავო.

საშინელი დრამატიზმით აღსავსე ეს სიტყვები ასახავს, თუ რამხელა ტკივილი დაუტოვა საქართველოს ეროვნული თავისთავადობის მოსპობამ, რაც საბჭოთა კავშირის შექმნას ახლდა. ახლა საქართველოს სწორედ ამის გამეორების წინაშე ვაყენებთ. ანუ, იმის გამეორების წინაშე კი არა, რომ ყველა ერი ერთნაირი იქნება, არამედ ყველა ერი აღარ იქნება ისეთი, როგორიც თავისი ისტორიის განმავლობაში იყო, როცა ვაჟკაცობა, რაინდობა წინა პლანზე იყო წამოწეული.

როგორ შეიძლება ქალისა და კაცისთვის იმ როლის მოშლა, დაკნინება, რაც თუნდაც ქართულ ცეკვებშია. ქართული კულტურა თავისი ნაციონალური ცეკვით გამოხატავს, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ქალსა და კაცს. დააკვირდით, კაცს როგორი რიდი აქვს, ქალს არც კი ეხება. ასეთი რიდი ქართული გენდერული ცნობიერების სულისკვეთებაა. ისევე, როგორც, მეორე მხრივ, რუსთაველის: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. ესეც ქართული ცნობიერების ნაწილია, საიდანაც ქალისა და კაცის თანაბრობა მოგვდევს, ოღონდ, ეს მათ შორის განსხვავების დაკარგვას როდი ნიშნავს.

ფსევდოლიბერალები ზრუნავენ იმაზე, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრები არ დაიჩაგრონ. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ. მაგრამ ეს არ ქმნიდა საფუძველს, რომ განსხვავებები მოშლილიყო.

არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები ჩვენთვის უცხო არ იყო, მაგრამ ამის გამო გართულებები არასდროს ყოფილა. თუკი ახლა სხვა ქვეყნები გვაიძულებენ, სხვანაირი გავხდეთ, მაშინ ჩვენთვის ადვილი იქნება, ვთქვათ: დამაბრუნეთ იმ ორმოში, საიდანაც ამომიყვანეთო. ანუ საქართველოში ანტიევროპული განწყობილებები მომწიფდება. ხვალ უკმაყოფილების მასა თუ გაიზრდება, შეიძლება ვერც გავაცნობიეროთ, ამ კრიტიკული მასის დაგროვება რა აფეთქებას გამოიწვევს. ასეთი დაძალებული ზეწოლით ხომ არ ხდება ისე, რომ ჩვენი პარტნიორი ქვეყნები ძალიან კეთილი სურვილებით, არაშორსმჭვრეტელური ანალიზით, საქართველოში რუსეთის პოზიციებს აძლიერებენ.

გენდერულ თემასთან ასეთი თამაში არ სჩვევიათ არც აზიის ქვეყნებს და არც რუსეთს. ევროპა ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯებით ხომ არ აკეთებს სწორედ იმას, რომ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, აზიური მიდგომების პოპულარობას ზრდის.

მოამზადა
**თამარ შველიძე**

**დედა და მამა, ცოლი და ქმარი და ა.შ. ითხოვენ ე.წ. „გენდერულად ნეიტრალური“ ტერმინოლოგიის დანერგვას, როგორიცაა მშობელი 1 და მშობელი 2 და ა.შ. ამის ლოგიკური გაგრძელება იქნება, მაგალითად, პასპორტიდან სქესის შესახებ ჩანაწერის ამოღება. ისინი საქართველოში ყოველწლიურად ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ე.წ. „პრაიდი“ მაშინ, როდესაც სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი ამას, სრულიად სამართლიანად, პროპაგანდად აღიქვამს და ე.წ. „პრაიდის“ ჩატარების წინააღმდეგია. მეტიც, ამგვარი აგრესიული პროპაგანდა პირიქით, უარყოფითად მოქმედებს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების უფლებების დაცვაზე.**

**წარმოებს პროპაგანდა იმის შესახებ, რომ ბავშვმა თავად უნდა აირჩიოს საკუთარი სქესი. მთელ რიგ სახელმწიფოებში დაკანონდა ბავშვებისთვის სქესის შეცვლის ოპერაციები და შესაბამისი სამედიცინო მანიპულაციებიც. აქტიურად გამოიყენება ამ იდეოლოგიის გასავრცელებლად მსხვილი კომპანიები, მედიასაშუალებები, კინოინდუსტრია და ა.შ. მათ შორის, ამის მაგალითები საქართველოშიც გვქონდა გახსოვთ ანიმაციურ ფილმებში, სატელევიზიო სერიალებში, თუ სხვა მიმართულებით. ამ პროპაგანდას არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანის უფლებების დაცვასთან. მისი მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს ცხოვრების არატრადიციულ წესს. ფსევდოლიბერალური იდეოლოგია კი სერიოზული საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის, რასაც საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს.**

**ამდენად, საპარლამენტო უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ პროპაგანდას აქტიურად უნდა დავუპირისპირდეთ და ამისათვის საკანონმდებლო მექანიზმებიც უნდა გამოვიყენოთ. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მომზადდეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისგან დაიცავს. კანონპროექტი უახლოესი 2 კვირის განმავლობაში მომზადდება და დაინიცირდება პარლამენტში. კანონპროექტში სრულად იქნება დაცული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული პრინციპები და ნორმები.**

**კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ თითოეული ჩვენი მოქალაქის უფლებები ძალიან პრინციპულად უნდა იყოს და იქნება დაცული, განურჩევლად ცხოვრების წესისა, თუმცა, არატრადიციული ცხოვრების წესის მიზანმიმართული პროპაგანდა არის ის, რასთან დაპირისპირებაც არის ჩვენი პასუხისმგებლობა ქართული საზოგადოებისა და მისი მომავლის წინაშე. ყველა, ვინც გრძნობს პასუხისმგებლობას ამ ღირებულებების წინაშე, ვალდებულია და მოვუწოდებთ, აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში, მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ იქნება მიმართული.**

**ქართული ოცნება**

# დღეს თავმოყვარე ადამიანისთვის ჟურნალისტიკაში ყოფნა ძნელია



**რვა წლის იყო, როცა პირველად ტელევიზიის მტვერი ჩაყლაპა. გული სწყდება, რომ ტელევიზიაში, სადაც საუკეთესო ოცი წელი გაატარა და სადაც სატელევიზიო გადაცემები ქართული ტრადიციების გაცნობას ეძღვნებოდა, დღეს საზოგადოების ხმა საერთოდ აღარ ისმის. სკოლის მოსწავლე ირინა მათიაშვილის თანაწამყვანი იყო და თანატოლებს ტელეეკრანიდან რუსულ ენას ასწავლიდა. „ვისწავლოთ რუსული ენა“ — ასე ერქვა მის პირველ გადაცემას, რომელიც ეკრანიდან სიკეთეს, კეთილგანწყობას და ბედნიერებას ასხივებდა. მისი აზრით, დღეს ეკრანს მიჯაჭვული მაყურებელი საერთოდ გაქრა, რადგან „ჯადოსნური ეკრანიდან“ ამებების მსგავსი ბოროტი არსებები გველაპარაკებიან, რომლებიც მხოლოდ ხალხის გამწარებაზე არიან ორიენტირებულენი.**

**ჟურნალისტიკაში დაგროვილ პრობლემებზე „საერთო გაზეთის“ ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, პროფესორი ლალი მოროშკინა ესაუბრება:**

**— ქალბატონო ლალი, რა გამოწვევების წინაშე დგას დღევანდელი ქართული მედია?**

— „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების დამსახურებით, დღეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ზოგადად, ჟურნალისტიკა მკვდარია. იმ პერიოდიდან განადგურდა მეცნიერებაც, დახურეს „მეცნიერების აკადემია“ და არაერთი კვლევითი ცენტრი. სააკაშვილის ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ სამეცნიერო მუშაკები ქვეყანას აღარ სჭირდება, ლექტორები სახლში გაუშვა და მათ ნაცვლად სხვადასხვა ფონდებიდან ახალგაზრდა, უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტები მოიყვანა, რომელთა ამოცანა საქართველოში ნიჭიერი კადრების აღზრდა ნამდვილად არ იყო. ერთ-ერთი მთავარი დარგი, რომელიც პრაქტიკულად განულდა, ჟურნალისტიკა გახლავთ. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრი — პუბლიცისტიკა, ეკრანებიდან საერთოდ გაქრა.

დღეს ჟურნალისტიკა შეიძლება ითქვას, რომ თავდაყირა დგას. ადრე, როცა საინფორმაციო გადაცემას ვაწყობდით, ვიცოდით, რომ კრიმინალური ამბები სპორტის წინ უნდა გასულიყო. ეს აუცილებელი კლიშე იყო. მიიჩნეოდა, რომ საინფორმაციო გადაცემის გასვლის დროს ბავშვებს არ სძინავთ და მათ ნაკლები სტრესი უნდა მიეღოთ. ამიტომ ეგრეთ წოდებული სისხლიანი ამბები გამოშვების ბოლოს გადიოდა. გარდა ამისა, არსებობდა ეთიკის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილი ადამიანის, სისხლის ეკრანზე ჩვენება იკრძალებოდა.

ახლა, რა ხდება? — საინფორმაციო გამოშვება პირდაპირ მკვლელობებით, გარდაცვლილი ადამიანების სისხლით მორწყული ადგილების ჩვენებით იხსნება! სამწუხაროდ, ეს პრაქტიკაც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ დამკვიდრდა. გახსოვთ, მაშინაც როგორ იწყებოდა საინფორმაციო გამოშვებები: წითელი ფონით, ხმაურიანი მუსიკით და პირველივე სიუჟეტი მკვლელობის, ყაჩაღობის, გაუპატიურების ამსახველი კადრებით იყო გაჯერებული. ხალხი ითრგუნებოდა... ეს ყველაფერი, რისთვის კეთდებოდა? — რომ მხსნელი, ქვეყნის გადამრჩენელი მოსულიყო. ასეთად კი სააკაშვილი მოიაზრებოდა, რომელიც ერს სამშვიდობოს გაიყვანდა.

„მხსნელი“ კი მოვიდა, მაგრამ მომდევნო ცხრა წელი ხალხის დათრგუნვა არ შეწყვეტილა. ცისფერ ეკრანზე გამოჩნდა გადაცემა, სადაც აჩვენებდნენ, თუ როგორ იჭერდნენ პოლიციელები ხალხს. ესეც ტოტალური შიშის დათესვას ემსახურებოდა. გადაცემა „ვიდეოპატრულში“ პირდაპირ ვიხილეთ, როგორ დახვრიტეს ზურაბ ვაზაგაშვილი. ანუ, ყველა მანკიერებამ წინა პლანზე გადმოინაცვლა. 2006 წლის შემდგომ კი ჟურნალისტიკა საერთოდ კატასტროფად იქცა, როცა სააკაშვილმა განაცხადა: ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში! ამის შემდეგ ადამიანების დახვრეტას პირდაპირ ეთერში უჩვენებდნენ. გახსოვთ, ალბათ, ავტორიტეტებთან შერბენები, პირდაპირ საძინებლებში შევარდნა, დაჭერები, მათი ცოლების გამჭირვალე პერანგებში ჩვენება. ამის შემხედვარე ადამიანები ფსიქიკურად შეირყნენ. მერე გვიკვირს, რატომ არის დღეს ამდენი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი!

## როგორ ჩაანაცვლეს ჟურნალისტები ზონდერჯგუფებმა

ჟურნალისტიკას სახე სრულად დაეკარგა. ამ პროფესიის ადამიანი გამართულად უნდა მეტყველებდეს და აუცილებლად აკონტროლებდეს რბილ და მაგარ „ლას“-ს, მაგრამ რას ვხედავთ? — ეკრანიდან აბსოლუტური უცოდინარი მონსტრები გვიმზერენ, რომელთა ფრაზეოლოგია კრიტიკას ვერ უძლებს. თან, ეს მონსტრები ბედავენ, ერი დამოძღვრონ, შეურაცხყოფა მიაყენონ ჭირისუფლებს, ხალხს სახლში შეუვარდნენ. ანუ, მათ მთლიანად ზონდერჯგუფების როლი და ფუნქცია მოირგეს. ამიტომ ვამბობ, რომ ჟურნალისტიკა მოკვდა. რიგი ტელევიზიები მეტ-ნაკლებად მესიმპათიურება, თუმცა ისინიც კონკრეტულ დავალებას ასრულებენ. მაგალითად, „პოს-ტვ“-ს“ ღიად აქვს ნათქვამი, რომ „ხალხის ძალის“ მხარდამჭერია. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, ეს სწორი პოზიციაა — რასაც აკეთებენ, იმას ამბობენ, არაფერს მალავენ. „იმედზე“ ძალიან ცოტა გადაცემა გადის პუბლიცისტური, ისტორიული, საგანმანათლებლო, რომლებიც ეკრანთან მიგაჯაჭვებს, პოლიტიკურ გადაცემებშიც სულ ერთი და იგივე პოლიტიკოსები იღებენ მონაწილეობას. აღარაფერს ვამბობ ოპოზიციურ არხებზე, რომლებიც თავიდან ბოლომდე იმ „ჯიბის“ დაკვეთას ასრულებენ, რომელშიც „სხედან“. მისცემენ დაკვეთას, ვინ უნდა გააშავონ და ესენიც უმალ დავალების შესრულებას იწყებენ.

„საზოგადოებრივ მაუწყებელს“ რაც შეეხება, იქ სრული აჯაფსანდალია და საზოგადოების ხმა საერთოდ აღარ ისმის. იქ, წესით, საინტერესო თოქშოუები სოციალურ თემებზე უნდა გადიოდეს, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება. პატარ-პატარა ტელევიზიები სათვალავში არც არის. მათ თითო-ოროლა გადაცემა აქვთ, სადაც ერთი და იგივე ხალხი ლაპარაკობს. ამდენი არხის ნახვა არც გჭირდებათ. შეგიძლიათ ერთ ადამიანს მოუსმინოთ, რომელიც მერე ყველა არხზე იგივეს გაიმეორებს, მათ შორის, მეც.

არავის ეგონოს, თითქოს მე ვიყო განსაკუთრებული და სხვებს ვაკრიტიკებდე. მე რასაც ვიტყვი „მაესტროზე“, იგივეს ვიტყვი „იმედზე“, „პოს-ტვ“-ზე და სხვაგან, სადაც დამპატიჟებენ. დარჩა მხოლოდ ბეჭდური მედია, ისიც მცირე ნაწილი. ინტერნეტგამოცემებში ადამიანები ბლოგერებად იქცნენ. მაგალითად, მე, ვიცი, ჩემს „ფეისბუქ“კედელზე რაღაცას რომ დავწერ, იმას აღარც გაზეთი სჭირდება, არც რადიო, არც ტელევიზია, ისედაც დღის ბოლოს ყველას ეცოდინება. შესაბამისად, ეთერში გამოჩენა საერთოდ აღარ მჭირდება. მე მაქვს ჩემი რუპორი, მყავს ბევრი გამომწერი და შემიძლია ჩემი აზრი დავაფიქსირო, მაგრამ ეს არ არის ჟურნალისტიკა. ეს არის ერთი კერძო პირის მიერ გადმოფრქვეული აზრი.

## „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება და მიზანში ამოღებული ჟურნალისტური ერთობა

მოგეხსენებათ, მე ლექტორიც ვარ და არაჩვეულებრივი, ნიჭიერი სტუდენტები მყავდა, მაგრამ ნასწავლის რეალიზება ვერ მოახერხეს, რადგან დამკვეთის ხუშტურის შესრულება უწევთ. ბევრმა ამ პროფესიაზე საერთოდ ხელი აიღო, რადგან დღეს თავმოყვარე ადამიანისთვის ჟურნალისტიკაში ყოფნა რთულია. ჟურნალისტებს გვქონდა ფედერაცია, რომელიც საერთოდ მოშალეს. ორგანო, რომელიც უნდა ყოფილიყო მაკონტროლებელიც, მომფერებელიც, დამჯილდოვებელიც, წინა ხელისუფლებამ საერთოდ ფეხქვეშ გათელა, გაანადგურა. ანუ, მისი მთავარი სამიზნე ჟურნალისტური ერთობის დაშლა იყო. დიდი მადლობა ლაშა ნადარეიშვილს და გიორგი მამაცაშვილს, რომლებმაც სრულიად გაპარტახებული სეგმენტის აღზევება ითავეს. მოკლედ, ტელეჟურნალისტიკაში პლინტუსს ქვემოთ დონე მივიღეთ.

სამწუხაროდ, ჩვენ აღარც პოლიტიკური მიმომხილველები გვყავს, რომლებიც დაწყნარებული, მშვიდი სახით გვეტყვიან, რა ხდება მსოფლიოში. ვიღაცებს დღემდე ჰგონიათ, რომ უკრაინა ომს იგებს და ზელენსკი გმირია. სანამ გაგრძელდება თეთრზე შავის დამტკიცება, არაფერი გამოვა. ვისურვებდი, გამოჩნდეს ბიძინა ივანიშვილის, ბადრი პატარკაციშვილის მსგავსი ქველმოქმედი, რომელიც ქვეყანას, ხალხს ისეთ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ აჩუქებს, როგორიც იყო თავის დროზე „მეცხრე არხი“ და „იმედი“, ანუ, ნამდვილ ტელევიზიას.







აქვე მინდა ყურადღება ერთ პრობლემაზე გავამახვილო. დღეს ხალხი სამედიცინო გადაცემებით გამოალაყეს. ესეც შეგნებულად კეთდება, რათა გვითხრან: თქვენ, ყველანი ავად ხართო. მთელი დღე ეკრანს უნდა უყურო, რომ გაიგო, ესა თუ ის დაავადება როგორ მოირჩინო. არაფერი რომ არ გტკიოდეს, ძალით აგატკივებენ. ეს არის პოლიტიკა. სულ სხვაა პრევენციული გადაცემები, საიდანაც იღებ რჩევებს, როგორ დაიცვა თავი გრიპისგან და ა.შ. და არა უკანასკნელ მუწუკამდე დაიყვანო შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარჩევა.

ასევე, არ გვეხერხება იუმორისტული გადაცემების გაკეთება. კომედიური ჟანრი ჩვენი ძლიერი მხარე არ არის. დავუბრუნდეთ იმას, რაშიც უძლიერესები ვიყავით — პუბლიცისტიკას.

მე სამეცნიერო ხარისხი მაქვს, რაც საშუალებას მაძლევს, უმაღლეს სასწავლებელში ლექციები წავიკითხო. ჟურნალისტების უმეტესობას ხარისხი არ აქვს, თავად არაფერი იციან და სტუდენტებს ასწავლიან. შედეგად, სტუდენტებმა სიუჟეტის აწყობაც კი არ იციან. მაგალითად, ვეუბნები, რომ ვთქვათ, აღმოაჩინეს სამარხი და ეს ამბავი გადმომცეს. ისინი კი თხრობას ასე იწყებენ: გათენდა გაზაფხულის დილა, მზემ ამოანათა. პირველივე სიტყვა საინტერესო თუ არ მითხარი, შენ მიერ მომზადებულ სიუჟეტს საერთოდ არ შევხედავ. თოქშოუები სრულიად ბრიყვებს მიჰყავთ, რომლებიც ჩემთვის დიდი ხანია, კოლეგები აღარ არიან. ასეთ შოუებში აღარც ვმონაწილეობ და აღარც ვუყურებ. შესაბამისად, ისინი მაყურებელს კარგავენ და ტელევიზორსაც ფუნქცია ეკარგება. არადა, მედია, წესით, ადამიანის გაკეთილშობი-

12 გვ.

# ფიცი მწამს, ბოლო მაშინებს...



საქართველოს აქვს ყველანაირი ინსტრუმენტი და მექანიზმი, რათა, რაც შეიძლება დავუახლოვდეთ NATO-ს“, ითქვა NATO-საქართველოს კომისიის სხდომის შემდეგ და მიდარაჯებულ საქართველოს მოქალაქეებს გადაგვიქანდა კიდეც გული!

ძლივს შეწყდა ამ სატყუარა NATO-ს ხსენება და ახლა თავიდან წამოიწყეს? ეს ახალი NATO-ა თუ რა ხდება?

აბა, გავიხსენოთ — ე. წ. დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, სამხედრო დარგის სპეციალისტების, ჟურნალისტებისა და ა. შ. პოლიტიკასთან შეხებაში მყოფი სხვადასხვა რანგისა და წოდების ადამიანების აზრი მოკლედ ამგვარად ჩამოყალიბდა: NATO-ში საქართველოს (და უკრაინის) გაწევრიანება მწვავე დაპირისპირების გამოცდასთან მიგვიყვანს, აბა, რომელი მხარეა სუსტი, ვინ დაიხევს უკან — ამის გამოცდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება;

თავისი აღმოსავლეთი საზღვრები ევროპამ თვითონ უნდა დაიცვას და არა აშშ-მა;

ალიანსები ურთიერთინტერესების საფუძველზე იქმნება და არა ქველმოქმედების მიზნით, ამიტომ ამ ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა უაზრობაა;

ყველაზე მნიშვნელოვანი ერთ-ერთი აზრი იყო: „თუ აშშ იარაღს მიაწვდის უკრაინას, მაშასადამე, ბარაკ ობამა იძულებულია აღიაროს, რომ უკრაინას თავის მოკავშირედ განიხილავს. რეალურად კი, უკრაინა არ არის აშშ-ის მოკავშირე. საბოლოოდ, ამგვარი ქმედება მიგვიყვანს ისეთ სახელმწიფოსთან ომამდე, რომელსაც ბირთვული იარაღი აქვს.“




სწორედ ამიტომ, საქართველოს (უკრაინასაც) ბოლო-ბოლო, ლამაზად, მაგრამ უარი ეთქვა ალიანსში მიღებაზე, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნით მაინც. თურქეთის (და სხვათა) მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, ევროკავშირის ღია კარზეც იმდენივე ხანი მოგვიწევს კაკუნი, რამდენიც ალიანსის კარზე ვაკაკუნეთ, თუმცა, რადგან ევროკავშირი სამხედრო ალიანსი არ არის, გვერდზე გადავდოთ, გვქონდეს წევრობის კანდიდატობის სტატუსი და ველაციცოთ დრო და დრო...

მივუბრუნდეთ სამხედრო ალიანსს — და მოულოდნელად, რა ხდება? 2015 წლის 30 აპრილს თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან ათავისუფლებენ კონტრმზვერავ მინდია ჯანელიძეს და მის ნაცვლად საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით თავდაცვის მინისტრის პოსტზე ინიშნება იმდროინდელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე, „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი. დღეს უკვე ტაივანის ინტერესების დამცველმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა რა საიდუმლო საბუთები ნახა და ვის მიაწოდა მინისტრის პოსტზე ყოფნის განმავლობაში, ეშმაკმა უწყის...

საუბარი არ არის იმაზე, რომ თავდაცვის მინისტრად ქალი დაინიშნა (თანამედროვეობაში არა ერთი და ორი მსგავსი მაგალითია), ან იმაზე, რომ რიჩარდ ნორლანდმა კატეგორიულად მოსთხოვა თუ არა ამ პოსტზე მისი დანიშვნა ბიძინა ივანიშვილს. საუბარია იმაზე, რომ დანიშვნიდან ოთხ დღეში ბათუმის პორტში უკვე შემოდიოდნენ გაურკვეველი დანიშნულების წითელი კონტეირებით დატვირთული ტვირთმზიდი გემები და მაინცდამაინც თინა უნდა დახვედროდა თავდაცვის მინისტრის რანგში.

როდესაც პირველად გაჟონა ინფორმაციამ, რომ დადასტურებულად საქართველოსკენ მოდიოდნენ აღნიშნული ამერიკული ხომალდები, მაშინვე დავსვი კითხვა, რატომ იყო კონტეინერები წითელი, ანუ რა იყო მათში ისეთი, რომ ამ ფერით უნდა აღნიშნულიყო, თუმცა პასუხი არავის ჰქონდა (იყო ვერსია, რომ კონტეინერებით საიდუმლო შტამები შემოჰქონდათ ლუგარის გასაიდუმლოებული ლაბორატორიისთვის, მაგრამ საიდან გაჩნდა ეს ვარსია, უცნობია). მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ხომალდებმა NATO-ს მძიმე ტექნიკა შემოტანეს საქართველოში: 14 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლი“, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მანქანები და ა. შ. სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა.

აშშ-ის იმდროინდელი ოფიციალური საიტის მიხედვით, ვაზიანის სამხედრო პოლიგონსა და აეროდრომზე უნდა გაიმართულიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის სამხედრო ძალების ერთობლივი წვრთნები კოდური სახელწოდებით „მაღალი დონის პარტნიორი“. წვრთნები პირველად ტარდებოდა საქართველოში და მიზნად ისახავდა ქართული ასეულის დაახლოებას NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებთან. ასევე, NATO-ს მომავალ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობისათვის მზადყოფნის ამაღლებას...

რას ისახავდა მიზნად, ძალიანაც კარგად ვიცოდით ხალხმა და გულიც გვიღონდებოდა, გვეშინოდა შედეგის, რადგან აშკარა პროვოკაციის სუნი უდიოდა ამ წვრთნებს, მაგრამ ოფიციალური პირები თავს უქნევდნენ. აღარ მიმიდევნებია თვალი, ბოლო-ბოლო, ჩატარდა თუ არა ეს წვრთნები, მაგრამ რადგან არ მახსოვს რუსეთის მხრიდან განსაკუთრებული სერიოზული გამოხდომა, ალბათ, არ ჩატარდა, ან ჩატარდა და თან ულიმღამოდ. ეს კი კარგად მახსოვს, „ამგვარი გადაადგილებები ვარნადან (ბულგარეთიდან) შავი ზღვის გავლით ბათუმის პორტამდე ახალ შესაძლებობებს ქმნის პარტნიორებს შორის ტრანსპორტირებისთვის“, — აშშ-ის არმიის ოფიცერმა მარკ შავენიმ რომ თქვა და გავიფიქრე, გასაგებია, ბათუმს ისედაც თავისად მოიაზრებს ნატო-ს წევრი თურქეთი და მას მიუგდებს რუსეთი-მეთქი.

რატომ მიმაჩნდა ასე, არ ვიცი, მაგრამ ამ ფონზე, რატომ ვერ და არ წაბრძანდა პრეზიდენტი მარგველაშვილი 9 მაისს მოსკოვში, ნათელია-მეთქი, — ვამბობდი. არადა, რა მდგომარეობა იყო უკვე მაშინ რუსეთსა და უკრაინას შორის, მაგრამ პოროშენკო პუტინთან შეხვედრის თუნდაც მცირეხნიან შანსს არ უშვებდა ხელიდან და საქართველოს პრეზიდენტებს (არა მხოლოდ) აქამდე რა დონის ბრმა-ყრუობა სჭირთ ასეთი უცნაური?

მადამ პრეზიდენტი, სადაც საჭირო არ არის, იქ რომ ეკვეხება და როცა საჭირო არ არის, მაშინ იჩენს ჯორის სიჯიუტეს, ივანოვს რომ კარგად უთხრა, „ახლა შენ ნუ გაატ...კეო“, პუტინთანაც მოესინჯა კბილი, იმასაც ემახსოვრება ორი ღერი ქართული, მით უფრო, გინებისმაგვარი. (ისე, რა უცნაურია; პუტინი (კასპი), ივანოვი (ახმეტა), ლავროვი (მთაწმინდა), პრიმაკოვი (პლეხანოვი) თბილისი... (უფრო იქით აღარ გადავწვდები)

იმ წელს ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველომ და უკრაინამ არ მიიღეს მილოცვა. გასულმა წლებმა (ახალი ხელისუფლების დროიდან მაინც), ბოლო-ბოლო, დაანახვა რუსეთს, რომ, სანამ საქართველოს „ვითომ ძალიან გაამერიკელებული თავები“ ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობენ საქართველოში, დიდ სამამულო ომში საკუთარი 300 000 დაღუპული ფეხზე ჰკიდიათ, ვაკის პარკში გაისეირნებენ, ცოტას წაიპროვოკაციებენ კიდეც და ეგ არის!.. (სხვა, უცხოელებს, ვისაც როდის დასჭირდება მის ქვეყანას, როდის ჩავა მოსკოვში და რატომ — ეს კიდევ სხვა საკითხია...)

ვისაც ესმის, რას ნიშნავს აშშ-ის „მეგობრული სამხედრო ტრფიალი“, მათგან, ზოგი ხარობს, ზოგი — წინდაწინ გლოვობს...

ვიღაც იკითხავს, ირაკლი ჩიქოვანმა თუ ნატო-სთან დაკავშირებით სიტყვა დაასველა, ჩვენ ხომ მისკენაც ვისწრაფვითო და იენს სტოლტენბერგმაც გულითადად გაგვიღიმა მხრებზე ხელის თათუნით, მერე, რა მოხდაო?

სხვა შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით ითქმის ხოლმე, მაგრამ ახლა სწორედ რომ პირდაპირი მნიშვნელობით ვიტყვი: რომის პაპი ფრანცისკე ვარაუდობდა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრა სპეცოპერაციის სახელით, შესაძლოა, NATO-მ გამოიწვიაო; დასავლეთის პროვოცირებაა ეს ძმათამკვლელი ომი, ზელენსკი კი პაიკიო... მშვიდობისმოყვარე პაპი პირადადაც იყო ჩასული პუტინთან, მაგრამ რუსეთ-უკრაინისა კი არა, NATO-რუსეთის ომი გრძელდება. კი, საზარბაზნე ხორცი უკრაინელებისაა, მაგრამ სამხედრო ტექნიკა ვისია? თუ რაიმე ახალი სამხედრო ტექნიკის გამოცდა უნდოდათ, ყველაფერი გამოსცადეს უკრაინის მტრებმა, თან დიდი ფულიც იშოვეს და უფრო მეტ გამორჩენასაც ელიან

სწორედაც რომ არ მოეწონა საქართველოს მოაზროვნე საზოგადოებას იენს სტოლტენბერგის დატკბობა და საქართველოსკენ შემობრუნება, რადგან სწორედ სტოლტენბერგის სიტყვებია: „პუტინი სჯის უკრაინას მისი გაცხადებული მიზნისთვის, რომ გახდეს NATO-ს წევრი. პუტინი მიიღებს მეტ NATO-ს მის საზღვართან!“

საკუთარ საზღვრებთან რუსეთმა რა მეტი NATO-ც მიიღო, ვხედავთ, „ნატოელები“ დარცხვენილები ერთმანეთსღა ამხნევებენ, ახლა თუ არ დავამარცხეთ რუსეთი, შემდეგი ჩვენ ვიქნებითო. აშშ-ს რა ენაღვლება, მისი ტერიტორიის სიახლოვეს არც ახლაა ბომბების ცვენა და არც მერე იქნება, ევროპას აქვს საფიქრალი — ანჟეი დუდას, ვოლოდიმირ ზელენსკის და მაია სანდუს...

ამ მოცემულობაში საქართველო სადღა ეჩრება?

ახლა, როდესაც აბსოლუტურად გამოკვეთილია რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები და, ამავდროულად, ცნობილია, რამ გაამწარა რუსული დათვი, NATO-ს ძახილი რანაირად წაადგება რუსეთის მიერ ისედაც ოკუპირებულ საქართველოს?

მაშინ თინა ხიდაშელმა კი არ დაიცვა საქართველო, აშშ-ირანს შორის ერთგვარად მოიხსნა მწვავე დაძაბულობა, თორემ იმ ე. წ. ერთობლივი წვრთნების დასრულების შემდეგ, NATO-ს ტექნიკა და მას მოდევნებული ამერიკელი სამხედროები აქვე დარჩებოდნენ და „ვაზიანი“ არაოფიციალურად გახდებოდა NATO-ს სამხედრო ბაზა.

შემდგომი ე. წ. ერთობლივი წვრთნები ჩატარდებოდა, ვთქვათ, ახალქალაქში და ახლა იქ „აღმოცენდებოდა“ NATO-ს მეორე ბაზა. მერე, საზღვაო ე. წ. ერთობლივი წვრთნები ჩატარდებოდა შავ ზღვაში, საქართველოს წყლებში და ბათუმის პორტი გახდებოდა NATO-ს სამხედრო საზღვაო ბაზა (თუ მაშინ უფლება არ ჰქონდათ შავ ზღვაზე 21 საათზე მეტი ხნის დაყოვნებისა იმ ქვეყნის ხომალდებს, რომლებიც შავ ზღვაზე არ გადიან, მერე უკვე აქ მუდმივად ყოფნის საშუალება ექნებოდათ); შემდეგ აღმოსავლეთისკენ, ვთქ-

12 გვ. →

# დღეს თავმოყვარე ადამიანისთვის ჟურნალისტიკაში ყოფნა ძნელია

10 გვ.

ლების საოცარი საშუალება უნდა იყოს, საქართველოში კი პირიქით — ადამიანებს ღუპავს.

**— ფაქტობრივად, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ დარგი გადაგვარდეს?**

— გადაგვარდა კიდეც. ტელევიზიები სამარცხვინო „ცეხებად“ იქცა. ამიტომ ყველამ სოცქსელში გადმოინაცვლა, რაც კარგი არ არის. იუთუბერი, ბლოგერი სხვაა, ფართო აუდიტორიიდან ხალხის აზრის გაგება კი, სულ სხვა. სიამოვნებით გავაკეთებდი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებზე გადაცემას განსხვავებული რაკურსით, თუნდაც ძალოვანებზე, ოჯახურ ძალადობაზე, რაშიც ბევრი პოლიციელიც სცოდავს. ჟურნალისტებიც ფეხის ხმას აჰყვნენ და გაიძახიან: ფემიციდს აქვს ადგილიო. რა მნიშვნელობა აქვს კაცზე იძალადებ თუ ქალზე, ვინ მოიგონა ეს ფემიციდი. როცა პენიტენციურ სისტემაში ვმუშაობდი, ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის სასჯელს გოგონები იხდიდნენ. ამიტომ თვალები ფართოდ გავახილოთ და რეალური პრობლემები გავიაზროთ. ყველაფერი ჭაობს დაემსგავსა. არაპროფესიონალიზმის ბუმია. ჟურნალისტები ვერ იაზრებენ თემის შინაარსს, არ იციან, რა შეკითხვა დასვან. მიდგომებია შესაცვლელი. ჯერ ერთი, ზონდერტელევიზიები უნდა დაიხუროს. ამისთვის კი კანონი უნდა ამოქმედდეს.

**— ჟურნალისტიკაში ერთ-ერთი დიდი პრობლემა „ფეიკნიუსებიცაა“.**

— გახსოვთ, ვალერი ასათიანს ორი ადამიანის მკვლელობა რომ დააბრალეს. უკვე გასაგები იყო, საით მიდიოდა ეს ყველაფერი. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ბოროტების მანტიაში გახვიონ. სანამ ვინმე ეკრანებიდან პირს გააღებს, უნდა იცოდეს, რომ ცილისწამებისთვის დაისჯება. აბა, სხვა რისთვის არსებობს კანონი? ანარქია თუ გვინდა, ვთქვათ. დღეს ჟურნალისტიკა ანარქიაზე ბევრად უარესია. ცივილიზებულ ევროპულ ქვეყნებში, ადამიანების ქცევას ჯარიმებით აბალანსებენ. ჩვენთან შეგიძლია პირდაპირი ეთერიდან კონკრეტულ ადამიანს დედა აგინო და ვითომც არაფერი. რაზე ვსაუბრობთ, როცა „მოდელირებული ქრონიკის“ შემქმნელები არ დასჯილან. არადა, ვინც უყურა, ზოგს მუცელი მოეშალა, ზოგს ლამის გული გაუსკდა. ყველა ერთნაირი ფსიქიკის ხომ არ არის.

მახსოვს, როცა ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, მამუკა არეშიძე საინფორმაციო სამსახურის უფროსი იყო და გვასწავლიდა, როგორი დაკვირვებით უნდა გადმოგვეცა ამბები ფრონტის ხაზიდან. კადრებიც კი დიდი სიფრთხილით უნდა აგვერჩია, რათა ვინმეს ეკრანიდან საკუთარი შვილი, ოჯახის წევრი არ ამოეცნო და შოკი არ მიეღო. აი, ამას გვასწავლიდა მამუკა არეშიძე. ტელემაესტრო **ზენონ კაცია** კი ტელევიზიის ეზოში გვარბენინებდა და მერე ტექსტებს გვაკითხებდა, რათა ქოშინი არ გვქონოდა. დღეს გადაცემებს რომ ვუყურებ, ასე მგონია, წამყვანი გადამყლაპავს-მეთქი, ისე




ქოშინებს. ამას სწავლა, ფიზიკური ვარჯიში სჭირდება. მეტყველებას წლობით ვსწავლობდით. ეკრანიდან ყვირილით, ქოშინით საუბარი საშინელი უკულტურობაა. მოკლედ, კვაზი სატელევიზიო ელიტა ჩამოყალიბდა.

**— როგორ გამოვიდეთ ამ ჩიხიდან? მე-19 საუკუნეში, ილიამ, როგორც ჟურნალისტმა, თავისი მკვეთრი სტილისტიკით ერის მენტალიტეტი შეცვალა...**

— სხვა დრო მოვიდა. ახლა ოცდამეერთე საუკუნეა, ლამის მარსზე გავფრინდეთ. ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ცოდნის, სწავლის მიღების გარეშე, განწირულნი არიან. ახალგაზრდები კლუბური ნარკოტიკებისგან და არასწორად ჩატარებული ოპერაციებისგან, მკურნალობისგან, კვდებიან.

**— დასაწყისში ახსენეთ, ვოცნებობ, ისეთ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, რომელიც მართლაც ხალხის კუთვნილება იქნებაო. ფაქტია, დღეს ამ ტელევიზიას რეიტინგი არ აქვს. რის გამოსწორებას ისურვებდით?**

— ჩემთვის საინტერესო ადამიანებში გამოკითხვა ჩავატარე: როდის იყვნენ ბოლოს „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“. აღმოჩნდა, რომ იქ დიდი ხანია, არცერთი ყოფილა. ათწლეული გადის და ჩემთვის საინტერესო ადამიანი: პოლიტოლოგი, მეცნიერი, ხელოვანი, ამ არხზე არ ყოფილა. ეს ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგან ამ არხზე ოცი წელი ვიმუშავე, იქაური კედლებიც კი შესისხლხორცებული მქონდა. თურქულმა სერიალებმა მაყურებელი დეგრადაციის გზაზე დააყენა, გამოათაყვანა. თუ ვინმეს გულით უყვარს ქართველი ერი, ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია. ერთი ჯანსაღი ტელევიზია ვითარებას მკვეთრად შეცვლიდა. ჩვენ ისეთი გადაცემები გვინდა, როგორიც მაგალითად, კვაჭანტირაძის სატელევიზიო ლექციები იყო. ჩემი ძმა გადაცემაში ნიჭიერ თეოლოგებს და სხვა პროფესიის ადამიანებს იწვევს, რომელთაც მერე საკმაოდ ბევრი ნახვები აქვს. ამით ვხვდები, რომ საზოგადოებას ჭკვიანი ხალხის მოსმენა მოენატრა. მათ არ აინტერესებთ, ჰამბურგერი რომელი მხრიდან უნდა ჩაკბიჩონ, ან როგორ დაბერონ საბურავი, არამედ სურთ გაიგონ, რა სამყაროში ვცხოვრობთ, როგორია მათი წარსული, აწმყო და მომავალი. გენიალური ახალგაზრდები გვყავს, მაგრამ ისინი არსად ჩანან, ასპარეზი ფუტურო ადამიანებს აქვთ დათმობილი. დიახ, ხალხს ჭკვიანი ადამიანები მოენატრა, მაგრამ ისინი ეთერში ვერ ხვდებიან. ასეთი ადამიანები ბუნებით ინტრავერტები არიან. მოდი, ექსტრავერტებმა გზა ამ ადამიანებს დავუთმოთ.



**თამარ შველიძე**



# ფიცი მწამს, ბოლო მაშინებს...

11 გვ.

ვათ, თელავში „აღმოცენდებოდა“ ბაზა და ა. შ., ანუ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო მთელი საქართველო სამხედრო ბაზებით დაქსელილი, ისე. ერთია, მაშინ საქართველოც „საბჭოელი“ იყო და პრობლემას არ წარმოადგენდა, პირიქით, გარეშე მტრისგან დაცულად გრძნობდა თავს საქართველოს მოსახლეობა. ახლა კი სწორედ იმის საშიშროება დგება, რომ გარეშე მტერს, რომელიც კონკრეტულად ხალხზე არ მოიწევს, პროვოკაციას უკეთებ, პირველივე უმნიშვნელო გადაცდომისას დაბომბოს საქართველოს ის ტერიტორიები, სადაც მისთვის საფრთხის შემცველი ბაზები იქნება (რასაც, რიგ შემთხვევებში, მსხვერპლიც მოჰყვება). ყოველ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს გამოცდილება ამგვარ სურათს ნამდვილად ხატავს. მერე ისევ ატყდება ყალბი ალიაქოთი, რომ საბრალო საქართველო (თუ რამე დარჩა მისგან) კვლავ აგრესორი რუსეთის შეტევის მსხვერპლი გახდა; ისევ შეშფოთდება და აღშფოთდება ე. წ. „ცივილიზებული დასავლეთი“ — ეს ორი უკიდურესობიდან საუკეთესო ვარიანტია; უარესი კი ის იქნება, საქართველოში რომ ატეხოს ორმა „დევმა“ მცირეხნიანი ბათქაბუთქი და ზედ სამოქალაქო ომიც დაერთოს სააკაშვილის ხელისუფლების დასაბრუნებლად... რატომაც არა?

საქართველოს რა უნდა – ერთია, მაგრამ აბა, გადავხედოთ სამეზობლოს, ვის რა უნდა საქართველოსგან?

რუსეთს თავისი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან არ უნდა NATO-ს ჯარები და ბუნებრივი რეაქცია აქვს გამღიზიანებლებზე;

სომხეთს – სამცხე-ჯავახეთი უნდა (ლიხის ქედამდეც არ იტყვის უარს, მაგრამ ამ ეტაპზე „მცირედსაც“ დასჯერდება);

აზერბაიჯანი მუსლიმანური ცბიერებით ჩუმ-ჩუმად იკრავს, რაც უნდა და არც არასდროს იყვირებს;

NATO-ს წევრ თურქეთს ისლა დარჩენია, მხართეძოზე წამოწვეს, რაც უნდა, თავისით მიუცურდება ხონჩით და მშვიდობით აჭარა!..

რუსეთი აღარ „შეიწუხებს“ თავს, როგორც 100 წლის წინათ, არადა, რაც დღეს ჯერ კიდევ საქართველოს შემადგენლობაშია და უპრობლემოდ შეუძლია მოიაროს ყველამ, ის კუთხე-კუნჭული რუსეთის მეშვეობით რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ რომ დაუბრუნდა საქართველოს...

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — აკი გადაწყვეტილად გვითხრეს, სანამ საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველს ტერიტორიებზე პრეტენზია გაქვთ, NATO-ში შემოსვლაზე არც იოცნებოთო, ახლა რა სიმპათიების გამოხატვა დაგვიწყეს? რა იყო, მოსწრებაზე არიან, საკუთარმა „ომის პარტიამ“ ვერ ჩაგვითრია რუსეთთან ომში და აშშ-ის „ომის პარტიის“ მითითებით NATO ჩაერთო? — ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ სხვა ახსნას ვერ ვუძებნი. NATO-ში რომ ვიყავით, ოღონდ NATO-ს გარეთ, ის აგულიანებდა „დათვს“ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის საპირწონედ შექმნილ NATO-ს თავკაცებთან ხვევნა-კოცნით გაღიზიანება კარგს რას მოგვიტანს?

თუ საქართველომ ძალზე დიდი სიფრთხილით არ გადადგა ყოველი ნაბიჯი, ცუდად, ძალიან ცუდად დალაგდება საქართველოს მომავალი...

მახსოვს, სააკაშვილმა დაიჩივლა, რაში მჭირდება ლტოლვილების პრობლემების მოგვარება, მერე რაღაზე ვილაპარაკო ჩემს გამოსვლებში საერთაშორისო არენაზეო?

ასეა ახლა საქმეც — ვთქვათ, დაველაპარაკეთ რუსეთს და ისიც ადგა და დაგვიბრუნა, რაც ჩვენია, მერე რაღა ვქნათ, რა მიზეზით ვლანძღოთ რუსეთი, ხომ მოგვეჭრება თავი ე. წ. დასავლეთთანო?

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ უკვე ღიად ჩანს, რომ ანტირუსული განწყობით დაშანტაჟებული და შანტაჟში ჩარჩენილი საქართველოს ხელისუფლება ყველაფრის საქმის კურსშია, მაგრამ ვერაფრით ახერხებს ლავირებას, რაც საქართველოსაც წაადგება და მტერსაც თვალს დაუფსებს...

**P.S.** თუ თქვენ შვილებს ჯერ არ უნახავთ ვარძია, ხერთვისი, რაბათის ციხე (დამახინჯებულად აღდგენილი, მაგრამ მაინც), საფარა და ა. შ. სამხრეთ საქართველო და აჭარა, დროულად აჩვენეთ, სამახსოვრო ფოტოები მაინც დარჩებათ... ნურც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დათვალიერებას გადაავადებთ დიდი ხნით, სამონასტრო კომპლექსის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა...

**მაია ჭელიძე**

# დღეს მთავარი საზრუნავი ბირთვული ომის თავიდან აცილებაა

თებერვლის ბოლო ორშაბათს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პარიზში ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაოფიციალური სამიტი მოიწვია. მთავარი განსახილველი საკითხი უკრაინაში მიმდინარე ომი იყო. პოლიტიკური ამბიციები მაკრონს ბევრი აქვს. მადა განსაკუთრებით გერმანიის ყოფილი კანცლერის ანგელა მერკელის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ გაეზარდა. მაკრონის სურვილია, საფრანგეთი ევროკავშირის მთავარი ქვეყანა გახდეს. თუმცა, მას არაერთხელ მიანიშნეს მოკავშირე ქვეყნების მეთაურებმა, რომ ორგანიზაციის ლიდერად არ აღიარებდნენ.

პარიზის სამიტზე მაკრონმა სენსაციური განცხადება გააკეთა — უკრაინაში ერთობლივი ჯარების გაგზავნა მოითხოვა. მხარდაჭერის ნაცვლად, სამიტში მონაწილე ქვეყნების მეთაურების კრიტიკა დაიმსახურა. მხოლოდ ნიდერლანდები მიიჩნევენ შესაძლებლად ერთობლივი ჯარების გაგზავნას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფაქტობრივად, მაკრონმა ნატო-რუსეთს შორის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების იდეა წამოაყენა.

პოლონეთმა ოფიციალურად განაცხადა უარი უკრაინაში ჯარების შეყვანაზე. უნგრეთისა და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრებს მიაჩნიათ, რომ უკრაინამ და ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა დაიწყონ რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ნატო-ს გენერალურმა მდივნმა, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსი არ გეგმავს და არც აპირებს ჯარების სადმე გაგზავნას.

მაკრონს მხარდაჭერა კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ გამოუცხადა. ამასთან, სიფრთხილეც არ დაივიწყა — კანადა დაეხმარება უკრაინას მებრძოლების გაწვრთნაში იმ ბაზებზე, რომლებიც შორს არის განთავსებული საომარი არეალიდან. აშშ-იდან მაკრონს მოუწოდეს, ამბიციები დაიოკოს და უკრაინას იარაღი მიაწოდოს.

მოკავშირე ქვეყნების წინააღმდეგობამ გაანაწყენა მაკრონი: „დღეს კონსენსუსი ვერ შედგა, მაგრამ მომავალში ყველაფერია მოსალოდნელი“, — განაცხადა მან. ფრანგი ჩინოვნიკები დაბნეულები არიან და საკუთარი პრეზიდენტის გამართლებას ცდილობენ. იმასაც ამბობენ, რომ საზოგადოებამ სწორად ვერ გაიგო მაკრონის ნათქვამი და იგი უკრაინელების გაწვრთნას გულისხმობდა. თუმცა, მაკრონი კვლავ ჯიუტად აცხადებს, რომ სამომავლოდ საჭირო გახდება უკრაინაში ქვეითი ჯარების გაგზავნა.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მაკრონი ყველა ხერხით ცდილობს საკუთარ ქვეყანაში შერყეული ავტორიტეტის რეაბილიტაციას. განცხადების გაკეთებამდე ერთი დღით ადრე ფერმერებმა იგი სოფლის მეურნეობის მიღწევების გამოფენიდან გააგდეს. ექსპერტების შეფასებით, მაკრონმა, ერთი მხრივ, შური იძია საკუთარ მოსახლეობაზე, როცა განაცხადა, ქვეყანას ომში ჩავაბამო. მეორეც, სცადა, მოსახლეობის ყურადღება შინაური პრობლემებიდან სხვა საკითხებზე გადაეტანა.

ევროკავშირის ლიდერობის სურვილის გარდა, პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ მაკრონსა და გერმანიის მოქმედ კანცლერ ოლაფ შოლცს შორის დაპირისპირებაა. მათი შეფასებით, მაკრონი ცდილობს, ნებისმიერ ფორუმზე „დაჩაგროს“ შოლცი და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. ახლაც ასეთი შემთხვევა იყო, რასაც თავისი წინაისტორია აქვს. ამ ზამთარში რუსეთის ჯარებმა უკრაინაში რამდენიმე ათეული ფრანგი მებრძოლი გაანადგურეს. საფრანგეთის ხელისუფლებამ სცადა პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, ოფიციალურად საბრძოლველად არავინ გაგვიგზავნიაო, ანუ კონფლიქტში ჩართული არა ვართო.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისას შოლცმა განაცხადა, რომ უკრაინას შეიარაღებით არ დაეხმარებოდა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში გადასცეს ტანკები, საარტილერიო დანადგარები და ბევრი დევნილი შეიფარეს. საერთო ჯამში, აშშ-ის შემდეგ გერმანიამ ყველაზე დიდი დახმარება გადასცა უკრაინას. ამჯერად გერმანიისგან უკრაინა შორი მოქმედების (500 კმ) „ტაურუსის“ ტიპის ფრთოსან რაკეტებს ითხოვს. შოლცი



წინააღმდეგია, რადგან სარაკეტო დანადგარების მომსახურება მხოლოდ გერმანელ სამხედროებს შეუძლიათ. მათი (გერმანელი სამხედროების) უკრაინაში გაგზავნა კი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ჩართვად შეფასდება, რაც კანცლერს არ უნდა. აკი პირდაპირ განაცხადა შოლცმა: „რაკეტების მომსახურებისთვის მოგვიწევს ჩვენი სპეციალისტების უკრაინაში მივლინება ფრანგებისა და ბრიტანელების მსგავსად, რაც ჩვენთვის მიუღებელია... არ გვინდა, რომ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება ნატო-რუსეთის ომში გადაიზარდოს“. მისი ნათქვამი მოკავშირეებისთვის სილის გაწვნად შეაფასეს.

ერთობლივი ჯარების უკრაინაში გაგზავნაზე, ფრთოსანი რაკეტების მიწოდება-არმიწოდებაზე დისკუსიები დასრულებული არ იყო, როცა გასულ პარასკევს საერთაშორისო სკანდალი აგორდა. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ოთხი გერმანელი გენერლის საუბრის ჩანაწერი, სადაც ლაპარაკია იმაზე, როგორ გამოიყენონ ფრთოსანი რაკეტები ისე, რომ მათ ქვეყანაზე ეჭვი არ აიღონ და რომელი ობიექტები აირჩიონ სამიზნედ. ასევე, ისაუბრეს იმაზე, რამდენი რაკეტის გამოყენება დასჭირდებათ ყირიმის ხიდის ასაფეთქებლად და თანხმდებიან იმაზე, რომ ამისთვის 20 რაკეტაც კი არ იქნება საკმარისი. ჩანაწერის ავთენტურობა გერმანიის ხელისუფლებამ დაადასტურა.

გავრცელებულმა ჩანაწერმა შოკი გამოიწვია არამარტო გერმანიაში, საერთოდ, მსოფლიოში. როგორც ირკვევა, ერთ-ერთი გენერალი სინგაპურიდან ჩაერთო საუბარში. გერმანიაში აინტერესებთ, როგორ მოხდა ინფორმაციის გაჟონვა, რატომ საუბრობდა მაღალჩინოსანი სამხედრო უცხოეთიდან სამხედრო საიდუმლო საკითხებზე, როცა იცოდა, რომ სულ მცირე, 15 ქვეყნის დაზვერვის სამსახურების ყურადღების ცენტრში იქნებოდა. როგორც კანცლერმა დააანონსა, გერმანიის დაზვერვის სამსახურმა უკვე დაიწყო მოკვლევა. თავდაცვის მინისტრი ბორის პისტორიუსი თავდაპირველად დაბნეული იყო და მომხდარი რუსეთის ხრიკებად მიიჩნია. მოგვიანებით განაცხადა, რომ გერმანიის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი მიმდინარეობს და ამიტომაც ავრცელებენ დეზინფორმაციასო(?!).

ვრცელი კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა, არაფერი უთქვამთ არც აშშ-ის ოფიციალურ პირებს, მაგრამ ცალკეული ევროპელი ანალიტიკოსები ეჭვობენ, გერმანიაში სამხედრო გადატრიალება ხომ არ მზადდება. ეჭვის საფუძვლად გენერლების მხრიდან კანცლერისა და თავდაცვის მინისტრის კრიტიკას მიიჩნევენ, რომლებსაც სუსტ პოლიტიკოსებად თვლიან.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც — ჩანაწერების გავრცელებამდე ერთი დღით ადრე, გასულ ხუთშაბათს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, ტრადიციულად, ფედერალურ კრებას მიმართა. ვარაუდი, რომ პუტინი ომის მიმდინარეობასა და საერთაშორისო მდგომარეობაზე ისაუბრებდა, არ გამართლდა. მან, ძირითადად, ისაუბრა ქვეყნის საშინაო პრობლემებზე. ამასთან, აღნიშნა, რომ „სუვერენული რუსეთის გარეშე მსოფლიოში მყარი სტაბილურობის შენარჩუნება შეუძლებელია“. პუტინმა განსაკუთრებით აღნიშნა რუსეთის შეიარაღების მაღალი დონე და შეფარვით დაემუქრა იმ ქვეყნებს, რომლებიც უკრაინის ჯარით დახმარებას დააპირებენ.



გავრცელებული ინფორმაციით, გენერლების საუბარი 19 თებერვალს შედგა, მაგრამ მხოლოდ გასულ პარასკევს გამოქვეყნდა. სავარაუდოდ, პუტინისთვის უკვე ცნობილი იყო ჩანაწერის შინაარსი, ამიტომაც გაისმა მის გამოსვლაში ზოგადი, მაგრამ მკვეთრი მუქარა. ორშაბათს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს გერმანიის ელჩი, რომელსაც, სავარაუდოდ, საპროტესტო ნოტა გადასცეს. აგორებული სკანდალი მალე არ დამთავრდება. რა გაგრძელება ექნება, მომავალში გამოჩნდება. სამწუხაროდ, ბირთვული ომის საფრთხე მატულობს და რეალური ხდება, რასაც გენერლების საუბარიც ადასტურებს.

მძიმე ვითარება რჩება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ისრაელის არმია ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციას განაგრძობს. „ჰამასის“ შეიარაღებული დაჯგუფება აცხადებს, რომ ისრაელელთა შეტევებს მძევლებიც ეწირებიან. გასულ კვირას ანკლავში ჰუმანიტარული დახმარება შეიტანეს. ათასობით დამშეული დევნილი მოსახლეობა ერთბაშად მიაწყდა ავტომანქანებს. ისრაელის სამხედროებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა ასამდე ადამიანი. ისრაელის მხარემ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება საცდა — ჭყლეტა მოხდაო. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ მოლაპარაკებებს აჭიანურებს. იგი კვლავაც არავის აზრს არ ითვალისწინებს, ფაქტობრივად, საერთაშორისო საზოგადოებას გაემიჯნა. ამიტომაც განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა: „ნეთანიაჰუს პოლიტიკა ისრაელს მოკავშირეებს დააკარგვინებს“.

იემენელმა „ჰუსიტებმა“ წითელ ზღვაში ოთხი კაბელი გადაჭრეს, რომლებიც აზიას ინტერნეტით უზრუნველყოფდა. 300 მეტრის სიღრმეზე გაყვანილი სადენების აღდგენას ორი თვე დასჭირდება. ამასთან, არც უსაფრთხოების გარანტიები არსებობს. გასულ კვირას „ჰუსიტებმა“ კიდევ ერთი ბრიტანული სატვირთო გემი ჩაძირეს, რომელსაც სასუქი გადაჰქონდა. თუ დროულად ვერ შეძლეს გემის ტვირთის ამოღება, ეკოლოგიური კატასტროფაა მოსალოდნელი.

თავის გამოსვლაში პუტინმა „მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებაზე“ ისაუბრა. სტაბილურობას ვინ ჩივის, მსოფლიოს მთავარი პოლიტიკური საზრუნავი და დღის წესრიგის მთავარი საკითხი მოსალოდნელი ბირთვული ომის თავიდან აცილება უნდა გახდეს.

**გია ბურდული**

# მწერლობა და ბედისწერა



დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. **„ნონფიქშენის“** სახელით ფეხმოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი საზოგადოებრივ ყღერადობას იძენს. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, რაფიელ დანიბეგაშვილიდან და გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული. „ნონფიქშენის“ ძირები იძებნება პლატონის დიალოგებსა და ჯუმბერ თითმერიას ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტილკას მისდევს გური ოტობაიას მონუმენტური ხუთწიგნეული „შეუთავსებელთა შეთავსებაც“. ახალი რუბრიკის პირველი ავტორების, მწერალ — დავით შემოქმედელისა და პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო საუბარი, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბაასია ჩვენი ყოფიერების საჭირბოროტო საკითხებზე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენს პერიოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტის ტანდემური მარათონული სტუმრიანობა.

თამარ ბერძენიშვილი



დასაწყისი ი. „სგ“ N7

**გ. გ. — შევცვალოთ თემა... დავით, ჩვენი თაობა დიდი ისტორიული პროცესის მონაწილე გახდა: მე-20 საუკუნის ბოლოს დამთავრდა კომუნისტური დიქტატურის ეპოქა... და გადავედით სრულიად ახალ საბაზრო ეკონომიკაზე... ეს ცვლილებები შემოქმედებით ინტელიგენციასაც შეეხო... რას იტყვით, როგორ დაახასიათებდით ამ პროცესს?**

**დ. შ.** — ო, ეს დიდი თემაა. ვეცდები, შედარებით მოკლედ გიპასუხოთ. ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლა ყოველთვის მტკივნეულია. ასე გახლდათ საქართველოს შემთხვევაშიც, რამაც გამოიწვია მძლავრი რყევები არა მარტო პოლიტიკური სტაბილურობის, არამედ ეკონომიკური და მრავალი სხვა კუთხით. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ეტაპზე ჩვენ ვერ შევძელით მოჭარბებული ემოციური პატრიოტიზმი შეგვეცვალა რაციონალური პატრიოტიზმით. ჩვენი კულტურული ცნობიერების ცენტრი რუსეთი, მოსკოვი, გახლდათ. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან უნისონში უნდა იყო და არ შეიძლება, რა მაღალი კულტურის მატარებელიც უნდა იყოს, სხვა ქვეყნის კულტურულ სივრცეს, მსოფლმხედველობრივად, მხატვრულ-ესთეტიკური და სააზროვნო სისტემით მიება, მით უფრო, თუ იმ ქვეყნის მიერ ოკუპირებული ხარ. ჩვენში საზოგადოების ნაწილისათვის ევროპული და ამერიკული ფასეულოებები — მხატვრული, სულიერი, ესთეტიკური ფასეულობები გოეთესა და თომას მანის, ფოლკნერისა და სტეინბეკის დასავლეთი კი არა, ქუჩური ევროპა და ქუჩური ამერიკაა, რაც მასობრივი კულტურის თანმხვედრია; რასაც ელექტრონული თუ ბეჭდური მედიასაშუალებები ყოველდღიურად გვჩრიან და ფართო პოპულარიზაციას უწევენ. ჩვენ უნდა დავადგინოთ, რა არის ჩვენი ქვეყნის განვითარების ბუნებრივი გზა, სამოქმედო სტრატეგია. რომელიც ეროვნულ ტრადიციაზე დაყრდნობით მუდმივად სრულ თანხმობაში უნდა იყოს ზოგასაკაცობრიო ფასეულობებთან. ტრადიცია-მეთქი, ვახსენე, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველო მუდმივად მიმართული უნდა იყოს განახლებისაკენ. ეს საკითხი ყველაზე ზუსტად, მეტაფორულად ახსნა ქართველმა კლასიკოსმა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგში“. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ გველი გველადვე რჩება. საქართველოც უნდა განახლდეს, მოხდეს მისი ექსტრაპოლაცია, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს მხარი უნდა აუბას, მაგრამ არსით დარჩეს საქართველო.

**გ. გ — დავით, გვისაუბრია ამ თემაზეც: სამყარო დიდია; მსგავსი პროცესები, ცვლილებები, გარდატეხები ყველგან ხდება... ნაცნობი პროგრესული სახელმწიფოებიდან, მაინც რომელ ქვეყანას გამოარჩევთ, რომელს მიიჩნევთ მისაბაძად, სანიმუშოდ?**

**დ. შ.** მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ამაყი შეძახილი: „არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი...“ მიბაძვა არა, ბატონო, მაგრამ ჩვენზე წინ წასული, დაწინაურებული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება არ გვაწყენდა. ჩემთვის ასეთი მისაბაძი მაგალითი არის იაპონია, რომელმაც შეინარჩუნა საკუთარი რელიგია სინტოიზმი და მკვეთრად ორიგინალური ეროვნული ფორმის კულტურა, იქნება ეს იაპონური პროზა, კინო — გენიალური აკირა კუროსავა და სხვები, კაბუკის თეატრი და ა.შ. ხოლო შინაარსით, ტექნიციზმის განვითარების დონით იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე, თანამედროვე სუპერსახელმწიფოა. ჩვენთან კი, პირიქით, ქართული კულტურა უმრავლეს შემთხვევაში უარს ამბობს საკუთარზე, თავისთვის ნიშანდობლივ ფერზე, ბგერაზე, რითაც საინტერესოა დანარჩენი სამყაროსათვის, და ბაძავს დასავლურ კულტურას, ნელა და თანდათან ყალიბდება მეორეულ კულტურად, ხოლო მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ხანაში ისევ ფეოდალური ეპოქის ურმით მივჩანჩალებთ. ქართული პოლიტიკური ელიტის, საზოგადოების პრობლემა უპირველესად აზროვნებაშია. აუცილებელია, სინთეზურად ერთდროულად გვქონდეს, როგორც ეროვნული, ასევე სახელმწიფოებრივი ცნობიერება. დაკვირვებული ხართ, ალბათ, მე ხშირად ვხმარობ სიტყვა ცნობიერებას, რადგან მიმაჩნია, რომ მთავარი და პირველადი ცნობიერებაა.

**გ. გ. — ჰოდა, შემდეგი კითხვაც ეს იქნება: საერთოდ ამ თემაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა მთლად ნათელი ყოველთვის არაა მსჯელობა (პრობლემის სირთულე განაპირობებს ამას უპირველესად)... მოკლე კითხვა (ვრცელი პასუხის მოლოდინით): როგორ გესმით ეროვნული ცნობიერება?**

**დ. შ.** — გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ეროვნული სახელმწიფო გვქონოდა. ეროვნული სახელმწიფო რომ გვქონდეს, საჭიროა რამდენიმე კარდინალური მიმართულებით ეროვნული სახელმწიფო დოქტრინა. მაგალითად: სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ეროვნული დოქტრინა, ასევე განათლების, ჯანდაცვის, კულტურის და ასე შემდეგ დოქტრინები. ეს იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი მაგისტრალური ხაზი. ამაზე უნდა შეთანხმდნენ, ერი, ბერი, ხელისუფლება და ოპოზიცია, რაზედაც საკაცობრიო ფასეულობებთან უნისონში უნდა დაშენდეს ქართული სახელმწიფო. შესაძლოა, ამ დოქტრინებში დროდადრო მოხდეს ტაქტიკური სახის ცვლილებები, მაგრამ ძირითადი ხაზი, სტრატეგია, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იყოს უცვლელი. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რუსთაველის საზოგადოებამ შეიმუშავა ეკონომიკის განვითარების ეროვნული კონცეფცია, დოქტრინა. აქ ერთი აუცილებელი შენიშვნა უნდა გავაკეთო. მიუხედავად იმისა, რომ სამომავლო სტრატეგიული ხაზის მონიშვნა წინსვლის აუცილებელი პირობაა, ეს მაინც არ არის საკმარისი. საჭიროა ურთიერთშეთანხმებით ქვეყნის ყველა ძალამ იღვაწოს ამ მიმართულებით, ხოლო მთავარი მიზნის მისაღწევად ტაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობა დასაშვებია. წინა პასუხში ვთქვი და ისევ გავიმეორებ, საჭიროა ქართველი ერის ბუნებრივი განვითარების გზის პოვნა და იმ მიმართულებით სვლა სამომავლოდ.

**გ. გ.— მაპატიეთ, ჩაგეკითხებით: ეს ახალი გზაა თუ დაკარგული გზის ძიებაზეა საუბარი?**

**დ. შ.** — ჯერ კიდევ როდის შეგვახსენა გალაკტიონ ტაბიძემ: „დაკარგულია გზა მოხევესი“ ანუ წარსულთან ფესვები ჩაწყვეტილიაო. დღეს ჩვენ გვჭირდება გზა, რომელიცწარსულთან იქნება უნისონში, თან მთელი სიგრძე-სიგანით ითავისებს სადღეისო საფიქრალს და მონიშნულია სამომავლო გეზი. დასკვნის სახით ვიტყვი, რომ **ეროვნულ ცნობიერებადაკარგული ხალხი ქმნის იმ ნიადაგს, რომელზედაც სხვა ხალხები დამკვიდრდებიან**. აქ იმის აღუნიშნაობაც არ ეგების, რომ გასული საუკუნის ბოლოს, 1989 წელს, ქართულ ეროვნულ-რომანტიკულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პიკის დროს, ამ წმინდა საქმეში თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ლიდერს, რომელიც პროფესიით ჰუმანიტარი არ ყოფილიყოს. სამი სააზროვნო სისტემიდან — 1. სამართლებრივი, 2. ეკონომიკური, 3. კულტურული — პირველი ორი ჩამორჩა მესამეს. ეს ნაკლოვანი სახელმწიფოებრივი აზროვნებაა. თუ ხელოვნებასა და მწერლობაში კულტურული ცნობიერება აუცილებელია, პოლიტიკაში მარტო კულტურული ცნობიერებით ფონს ვერ გავალთ...

**გ. გ. — სახელმწიფოებრივი ცნობიერება? რას იტყვით ჩვენს სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.**

**დ. შ.**— 1555 წლის ირან-თურქეთის ზავის შემდეგ, როცა ორმა მტაცებელმა სახელმწიფომ საქართველოში გავლენის სფეროები გადაინაწილა, ამან ჩვენი სახელმწიფოებრივი ცნობიერება დააკნინა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სახელმწიფოებრივი ცნობიერების მკაფიო ისტორიული მაგალითი: როცა სოკრატესთან მივიდნენ მისი მეგობრები იმ მიზნით, რათა იგი ციხიდან გაეპარებინათ, მან უარი განუცხადა შემდეგი მოტივით: „იქნებ გგონიათ, რომ არ შეიძლება შეირყეს სახელმწიფო, სადაც სასამართლოს განაჩენს არავითარი ძალა არა აქვს და სადაც მისი აღსრულება და გაუქმება კერძო პირთა ნებასურვილზეა დამოკიდებული“. ისტორიაში სხვაც არაერთი მაგალითი არსებობს, სახელმწიფოებრივი ცნობიერების ნიმუშად რომ გამოგვადგება. ასეთია ეპიზოდი აბრამ ლინკოლნის ცხოვრებისა: მას მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში ჰყავდა ერთი ოპოზიციონერი, რომელიც თითქმის ყველა მის მოქმედებას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. როცა ლინკოლნი პრეზიდენტი გახდა, ყველა ელოდა, რომ ის ამ პიროვნებას თავიდან მოიცილებდა, მაგრამ ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა თავისი ოპონენტი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრად დანიშნა. აბრამ ლინკოლნი კი თავის გადაწყვეტილებას ასე ასაბუთებდა: ის კაცი ჩემი ოპოზიციონერია, მაგრამ, ამავე დროს, პატრიოტია და სამხედრო საქმის საუკეთესო სპეციალისტიო. მართლაც, იმ პიროვნებამ უდიდესი ამაგი დასდო ამერიკის სამხედრო ძლიერების განმტკიცების საქმეს. ჩვენთან პირიქით მოხდებოდა, პრეზიდენტად მოსვლისთანავე ჩვენი მმართველი თავის დაუძინებელ ოპონენტს საპატიმროს გზას გაუყენებდა. ჩვენს სინამდვილეში სახელმწიფოებრივი ცნობიერების სინაკლულის მკაფიო მაგალითია ის, თუ რამხელა სხვაობაა, ერთი მხრივ, კერძო საკუთრებასა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო საკუთრებას შორის. გაწკრიალებული ბინების ფონზე დანაგვიანებულად გამოიყურება საერთო სადარბაზოები, სკვერები, ბაღები, ტყეები. ჩვენი ისტორიიდან მინდა ერთი მტკივნეული ფაქტი გავიხსენო: არცთუ ისე შორეულ წარსულში, მეხუთმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, სიტყვა ქართველი გულისხმობდა არა ზოგადად ქართველს, არამედ მის ერთ ნაწილს — ქართლელს. ილია გულისტკივილით ამბობდა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდაო“... ამ ეროვნული კატასტროფის დროს ერის გამაერთიანებლის დროშით გამოდის ქართული ენა და ქართული ქრისტიანული სარწმუნოება; დიდი ქართული მწერლობა. ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ზესახელმწიფოს, მაგალითი. იქ ვერ წარმოუდგენიათ, რომ წარმოშობით იტალიელს ეთქვას, მე ვარ იტალიელი; ის ამბობს, მე ვარ ამერიკის მოქალაქე. მათთვის ეთნიკური კუთვნილება მეორეხარისხოვანია, სახელმწიფოებრივი — პირველხარისხოვანი. ამიტომ არის დასავლეთში უფრო ძლიერი სახელმწიფოები. ჩვენთან ერი და ეთნოსი განუყოფელია.



გაგრძელება იქნება

# აშშ-ში ადვოკატს სახელმწიფოს წინააღმდეგ განცხადებების გაკეთება ეზღუდება




29 თებერვალს ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატებისთვის საჯარო ლექცია-სემინარი ჩატარდა თემაზე „ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება - ევროსასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა“.

შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა გახსნა. ტრენინგს სამართლის დოქტორი, კონსტიტუციური სამართლისა და საჯარო მმართველობის მაგისტრი ნინო ცუხიშვილი და ადვოკატი, მედიატორი ირაკლი კორძახია უძღვებოდნენ. შეხვედრაზე ისეთი თემები განიხილეს, როგორებიცა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები და სახელმწიფო/საზოგადოებრივი ინტერესები გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში.

თემა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ უნებურად ქართულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პარალელების ძებნა დავიწყე. მოწვეულმა სტუმარმა ნინო ცუხიშვილმა ვრცლად ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, თურმე ადვოკატს თავისუფალი ქვეყნის სასამართლო პროცესზე ყველაფრის თქმის უფლება არ აქვს, მათ შორის, ისეთი განცხადებების გაკეთების, რომელიც სახელმწიფოს დისკრედიტაციას გამოიწვევს და მას შეურაცხყოფს. რაც უფრო კონკრეტულად ნიშნავს იმას, რომ ადვოკატი თავისი შეფასებების დროს შეზღუდულია!

საქართველოს კანონმდებლობით, ადვოკატი განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დასკვნით სიტყვაში შეზღუდული არ არის. მოსამართლესაც არ აქვს უფლება, დამცველს რაიმე შენიშვნა მისცეს. ადვოკატმა უსაგნოდაც რომ ისაუბროს, ის არც დროშია შეზღუდული და არც კომენტარებში. არადა, თუ დასავლეთის მართლმსაჯულებას ქართულ სინამდვილეს შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ ხშირად ჩვენი დავები, განსაკუთრებით, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პროცესებზე, პოლიტიკურ მიტინგს, სანახაობას უფრო ემსგავსება, ვიდრე მკაცრ სამსჯავროს, სადაც მისი დამცველები, როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ჩანს, ყველაფერზე საუბრობენ, გარდა ბრალდებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებისა.

„შეერთებული შტატების კანონმდებლობით, ადვოკატებს მედიაში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განცხადებების გაკეთება ეკრძალებათ. ასევე, სასამართლო პროცესამდე გავლენის მოხდენის მიზნით ისეთ მტკიცებულებებზე საუბარი, რომელიც სასამართლოს მიერ დაუშვებლად არის ცნობილი“, - აღნიშნა ნინო ცუხიშვილმა .

ლექცია-სემინარი ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებულ ბევრ ისეთ ეთიკურ საკითხს შეეხო, რომელიც დემოკრატიულ ქვეყნებში აკრძალულია.

დაბოლოს, ის, რაც დემოკრატიის შუქურად ცნობილ ქვეყანაში შეზღუდულია, რატომ არის მისაღები ჩვენი ქვეყნისთვის?!

**ლევან ჭილლაძე**

# ლიბერთი ბანკმა 151 ათას სესხზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება გადაწყვიტა

„საერთო გაზეთმა“ რამდენიმე სტატია მიუძღვნა ლიბერთი ბანკთან დაკავშირებულ სესხებს, რომლითაც პენსიონერი მოქალაქეები სარგებლობენ. მსესხებლები ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო. როგორც აღმოჩნდა, ამ საკითხს არც მთავრობა დაუტოვებია გულგრილი.

შვიდმა დეპუტატმა კითხვებით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელს ნათია თურნავას. ლიბერთი ბანკის პრეტენზიებთან დაკავშირებით პარლამენტში სპეციალური მოსმენაც გაიმართა, სადაც ყველა დაინტერესებული საფინანსო ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი.

“ჩვენ, როგორც ეროვნული ბანკი, ჩვენ ნაწილში ამაზე მუდმივად ვმუშაობთ. ამ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოგვცა საშუალება, უფრო დეტალურად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი მიდგომა, ჩვენი მხრიდან მოსაწოდებელი ინფორმაცია, თუ რა კეთდება ამ პერიოდის განმავლობაში იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი პენსიონერები, როგორც მსესხებლები იყვნენ უფრო მეტად ინფორმირებულები და მათი უფლებები იყოს მაქსიმალურად დაცული”, - განაცხადა ნათია თურნავამ. მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან კონსულტაციის შედეგად, სებ-ის ჩართულობით მიღებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და ბანკმა გამოხატა მზადყოფნა, რომ 151 ათას სესხზე საპროცენტო განაკვეთი შემცირდეს. „რამდენადაც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საშეღავათო პერიოდით სარგებლობის შედეგად შეცვლილ პირობებზე მომხმარებლები წინასწარ არ არიან ინფორმირებულნი და მათთვის რთულია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, მათი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში კომერციულმა ბანკებმა უნდა უზრუნველყონ საშეღავათო პერიოდით სარგებლობამდე მოქმედი გრაფიკის მიხედვით გადახდების მიღება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ბანკების მხრიდან მომხმარებლისთვის სესხის გადავადებული ნაწილის წინსწრებით დაფარვის შეთავაზების შემთხვევაში, წინსწრების საკომისიო უნდა იყოს ნული“, - დასძინა ნათია თურნავამ.




თავის გამოსვლაში ნათია თურნავამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იკრძალება სახელმწიფო პენსიის თანხით უზრუნველყოფილი სესხების/კრედიტების, მათ შორის ე. წ. ოვერდრაფტების რეკლამირება პენსიონერთა ინდივიდუალური თანხმობის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილება გავრცელდება იმ პენსიონრებზე, რომელთა შემოსავალიც მხოლოდ სახელმწიფო პენსიის თანხით ან/და სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემლით განისაზღვრება.

ნათია თურნავამ სიტყვასიტყვით გაიმეორა ის, რაზეც ჩვენს წერილებში ვაკეთებდით აქცენტს. კარგია, რომ, პრობლემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ასაკოვან მოსახლეობას აწუხებდა, როგორც იქნა, მოგვარდება და ჩვენთვის სასიხარულოა, თუ ამ საქმეში ჩვენი მცირეოდენი წვლილიც შევიტანეთ.

**ლევან ჭილლაძე**

# შინაურ ცხოველებზე მეთვალყურეობა უნდა გამკაცრდეს

**ივნისიდან საქართველოში შინაური ცხოველების ყოლისა და მოვლა პატრონობის წესები მკაცრდება. ამ ინფორმაციამ საზოგადოებაში დიდი დაბნეულობა გამოიწვია. შინაური ცხოველების დაცვის ორგანიზაციები ძაღლების და კატების „დასაცავად“ დაირაზმნენ. ყველაზე დიდი გაურკვევლობა გამოიწვია გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ამ კანონის თანახმად, სამზე მეტი ცხოველის ყოლის შემთხვევაში, პატრონი დაჯარიმდება.**

**როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები, რომელთაც სახლში სამზე მეტი ცხოველი ჰყავთ? ჩემი რესპონდენტი რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი კარდიოლოგი ნინო ოთარიშვილია, რომელსაც სახლში რვა ცხოველი — ხუთი კატა და სამი ძაღლი ჰყავს შეფარებული. მან ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა:**

— სახლში ათი ცხოველი მყავს, მათგან ორი ძაღლი სოფელში, დანარჩენი კი აქ, ჩემს ბინაში. პირველ რიგში, ჩემთვის გაუგებარია ცხოველის ყოლაზე შეზღუდვის დაწესება რას ნიშნავს? ჩემი აზრით, მთავარია, როგორ პატრონობ ცხოველს. ის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი პირობებით, საკვებით, სამედიცინო მოვლით. ზოგს სახლში ოცი-ოცდაათი ცხოველი ჰყავს, ეს ნამდვილად პრობლემაა. ამ შემთხვევაში ეს იწვევს საშინელ ხმაურს, სიბინძურეს და ამდენი ცხოველის მოვლას პატრონი იშვიათად ახერხებს. ამ მხრივ კანონმდებლებს ვეთანხმები, ძაღლებზე მეთვალყურეობა უნდა გამკაცრდეს — ნამდვილად ქმნიან თუ არა პრობლემას. თუმცა, რაოდენობის შეზღუდვის არსი არ მესმის. შეიძლება ერთი ძაღლი გყავდეს და ისე ხმაურობდეს, მეზობლები შეაწუხოს. ზოგმა მეზობელმა შეიძლება ერთი ძაღლის ყოლაზეც შეგიქმნას პრობლემა. ჩემს ერთ-ერთ მეზობელთან ხშირად მოდის სტუმრად ქალი, რომელსაც ჩემი ძაღლების დანახვაზე, რომლებიც სასეირნოდ საბელით გამყავს, ისტერიკა ემართება, გზის მეორე მხარეს გადარბის და კივის, არ შემოხვიდე სადარბაზოშიო. ასეთ ადამიანს ერთი ძაღლის შეეშინდება, ორის თუ სამის, რა მნიშვნელობა აქვს. მე საცხოვრებელი ფართიც დიდი მაქვს. შეიძლება ვინმემ მაინც თქვას, 110კვ-ში რვა ცხოველი როგორ შეიძლებაო, მაგრამ ყველა სათანადოდ არის მოვლილი, დაცულია სისუფთავე, რვავე დაჩიპული და აბსოლუტურად ყველაფრით უზრუნველყოფილია. ყველა მეზობელმა მითხრა, ხელს მოგიწერთ, არანაირი პრობლემა არ გექნებაო.

მინდა გამოვყო ის დადებითი მხარეები, რაც ახალი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ ცხოველების რეგისტრაცია უნდა გამკაცრდეს. ანუ, როცა ლეკვი მიჰყავთ, მისი დაჩიპვა, რეგისტრაცია მაშინვე უნდა მოხდეს. ეს ვეტერინარულ სამსახურებს უნდა დაავალდებულონ. მაგალითად, თუ კლინიკა სამედიცინო დახმარებისთვის მიყვანილ დაურეგისტრირებელ ცხოველს აღმოაჩენს, მაშინვე უნდა დაარეგისტრიროს და „დაჩიპოს“. ასევე, აბსოლუტურად ვეთანხმები ხელისუფლებას იმაში, რომ მომშენებლებიც უნდა დარეგისტრირდნენ. არარეგისტრირებული მომშენებლები მკაცრად უნდა დაისაჯონ. ანუ, თვითნებური რეგისტრაცია არ უნდა იყოს. კანონმდებლებს ასევე ვეთანხმები იმაშიც, რომ არარეგისტრირებული მომშენებლის მიმართ ჯარიმა ნამდვილად უნდა გაიზარდოს.

რაც შეეხება ძაღლის აყვანას, აუცილებლად მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თუ ვის ატან ცხოველს. როცა მომშენებელი რეგისტრირებულია, მისთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, ძაღლს ვის გაატანს. მომშენებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს იმაზე, რომ პატრონს დარეგისტრირებული, დაჩიპული ძაღლი გაატანოს.

გარდა ამისა, უნდა შეიქმნას ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც ჩიპის ამოკითხვა და ცხოველის პატრონის მოძებნა ყველა ვეტერინარს შეეძლება. ბაზა მხოლოდ ერთ კონკრეტულ სამსახურს არ უნდა ჰქონდეს. მაგალითად, ამჟამად ელექტრონული ბაზა მხოლოდ მონიტორინგის სამსახურს აქვს. მასზე ხელმისაწვდომობა ყველა ვეტერინარს უნდა ჰქონდეს. ვთქვათ, ვიღაც დაკარგულ ძაღლს რომ იპოვის, უახლოეს ვეტერინარულ კლინიკაში უნდა მიიყვანოს და არა ქალაქის ბოლოს თავშესაფარში, საიდანაც მერე მონიტორინგის მეშვეობით პატრონის დადგენა ხდება. ეს ნამდვილად პრობლემაა. ძაღლს რომ პოულობენ, ყველას არ შეუძლია მონიტორინგის სამსახურში მისი წაყვანა. ამიტომ არის, სოცქსელებში რომ იწერება, ძაღლი ვიპოვე და გაავრცელეთ, პატრონი ხომ არ ეძებსო. ბაზა არ არსებობს, დაკარგული ცხოველი რომ იპოვო, მაინცდამაინც მონიტორინის სამსახურში უნდა წაიყვანო.

**— ქალბატონო ნინო, კანონის თანახმად, პატრონს აღარ შეეძლება, ძაღლი მაღაზიაში, აფთიაქში შეიყვანოს.**

— ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. თუ ძაღლს ალიკაპი უკეთია და საბელით მიგყავს, რატომ ვერ უნდა შეიყვანო მაღაზიაში. თუ რამეს დააზიანებს, პატრონს ჯარიმა გადაახდევინონ. ან მაღაზიები დაავალდებულონ, რომ კედელზე სამაგრი გააკეთონ, რათა ძაღლი გარეთ დავტოვო. საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც არ უნდა იყოს ალიკაპიანი და საბელიანი ძაღლის შეყვანა პრობლემა. საავადმყოფოებს რაც შეეხება, მსოფლიოში არსებობს პრაქტიკა, რომ პაციენტებს ცხოველი პალატაში ჰყავთ. ეს ერთგვარი თერაპიაა. ვთქვათ, ვასეირნებ ძაღლს და მომშივდა. რატომ ვერ უნდა შევიდე კაფე-რესტორნებში? როგორც მწეველების და არამწეველების ადგილია გამოყოფილი, ასევე გააკეთონ ცხოველების შემთხვევაშიც. მსოფლიოში და საქართველოშიც არის პრაქტიკა, სადაც შეგიძლია ძაღლით რიგ სასტუმროში შეხვიდე.



**— ცხოველების „დაჩიპვა“ ხომ გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით რა ხდება?**

— ჩემი აზრით, მუნიციპალურ და კერძო კლინიკებში განსხვავებული ფასი არ უნდა იყოს. მუნიციპალურში ცხოველის „დაჩიპვა“ 18 ლარი ღირს, კერძოში კი — 50 ლარი. ხუთი ძაღლის „დაჩიპვა“ 250 ლარი დამიჯდა. ყველას არ აქვს ამის საშუალება. კერძო კლინიკები უნდა დაავალდებულონ, რომ მათაც 18 ლარად დაჩიპონ ცხოველი, რათა რეგისტრაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

დიდი პრობლემაა ძაღლების გასეირნებაც. მთელ საბურთალოზე, სადაც შეიძლება ძაღლი სარბენად გაუშვა, ასეთი მხოლოდ „წითელი ბაღია“. ვთქვათ, ნუცუბიძის მეოთხე პლატოდან წითელ ბაღში როგორ ივლი ყოველდღე?! თანაც, ბაღში იყო ადგილი, სადაც მიწა ეყარა და ძაღლები დარბოდნენ. ახლა იქ ხრეში დაყარეს და ცხოველები ვეღარ შედიან. ესეც მოსაგვარებელია.

**— როგორც ამბობენ, ახალი კანონი ევროპულ მოდელზეა მორგებული. თუმცა ევროპაში მიუსაფარი ცხოველები არ არიან.**

— მიუსაფარი ცხოველების პრობლემა გადაწყდება მომშენებლების, ასევე, ცხოველების, რეგისტრაციით და სტერილიზაცია-კასტრაციით, რასაც მივესალმები. რადგან მომშენებელი რეგისტრირებული იქნება, შემცირდება ძაღლებისა და კატების გამრავლება. მომშენებლების დარეგისტრირება კარგი ჯიშის ძაღლის ფასს გაზრდის. შესაბამისად, ძაღლი ისეთ ადამიანს აღარ ჩაუვარდება ხელში, რომელმაც მერე შეიძლება ქუჩაში დატოვოს. ასევე მივესალმები კერძო თავშესაფრების გახსნას.

**— კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა ცხოველის ევთანაზიაა. ეს რა შემთხვევაში უნდა კეთდებოდეს?**

— თუ ევთანაზია ცოფის გამო კეთდება, ეს, ჯერ ერთი, დადასტურებული უნდა იყოს. შესახედაობით ჯანმრთელი ძაღლი იზოლირებული უნდა იყოს და თუ მას ცოფი არ დაუდასტურდება, ევთანაზიას არ უნდა ექვემდებარებოდეს. ჩვეულებრივი იზოლირებული ბოქსები უნდა გაკეთდეს. ასევე, ქუჩიდან მოყვანილი ძაღლები თუ არ გაიტესტა, ისე საერთო თავშესაფარში არ უნდა შეიყვანო. თავშესაფრიდან ძალიან ბევრი დაავადებული ძაღლი გამოდის, რომელთაც ენტეროვირუსები ემართებათ.

კიდევ ერთი პრობლემა სოფლებში არსებული ცხოველების საკითხია. ჩემი აზრით, სავალდებულოა მეტისებს სტერილიზაცია-კასტრაცია ჩაუტარდეთ. თავშესაფრები, პირველ რიგში, რეგიონებში უნდა გაკეთდეს. ყველა რაიონულ ცენტრში თავშესაფარი უნდა იყოს. მაგალითად, ჩემს სოფელში ქუჩაში უპატრონოდ დარბის კავკასიური ნაგაზი ყაზბეგურა, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი. მთელი სოფელი ზრუნავს მის კვებაზე. სოფელში რომ ვცხოვრობდე, აუცილებლად ეზოში შევიყვანდი. იქ პატრონები ვისაც ჰყავს, ისინიც ქუჩაში დარბიან საჭმლის მოსაპოვებლად. მწევრები, ლაბრადორები, ჰასკები პატრონებს გარეთ ჰყავთ გამოშვებული. ჩემი ძაღლები სასეირნოდ ვერ მიმყავს, რადგან მთელი ქუჩა ძაღლებითაა სავსეა. ამიტომ, პირველ რიგში, კონტროლი რეგიონებშია საჭირო. თბილისში ვითარება, მეტნაკლებად, მოწესრიგებულია.



**თამარ შველიძე**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99